



# უკიდვეტიანი

№ 1-2

აკადილი

ქუთაისი  
მხატვრული მწერლობის კავშირი  
1922

## ფიქრები შოკრეულზე

(ანდერძათ).

დაუძღვრდი, ჩავდექ სიბერეში...  
 დაუძღვრდა მხოლოდ ტანი, ლეში,—  
 ხოლო სული ცხოველია კვალად,  
 ძველი ნატვრით ცოცხლობს იგი მარად.  
 ენატრება კვლავ დღე მას მზიანი,  
 კვლავ ცხოვრება სათნო, კარგზნიანი,  
 აღამიანთ ნებიერი ფრენა,  
 აზრით, სულით ურთერთ შორის ლხენა...

ველარა ვარ ძველებრ შრომით, ოფლით...  
 აწ მეც... მეც ხომ გავალ წუთისოფლით...  
 ისე გავალ, ვით გასულან სხვები,—  
 საუკუნოს მათ გზას მეც გავყვები...  
 და რა მრჩება სანანებლათ აქა?  
 რა სიამე, შვება, რა ბარაქა?  
 სიტკბო თითქმის სულ არ მახსოვს, არა...  
 შხამ-ნაღველი კი, რაც მასვეს, კმარა!..

დღეს ცხოვრება მხოლოდ ტანჯვის ზღვაა!..  
 გაიხედავ—ყველგან სისხლის ღვრაა!..  
 შორს წავიდა კაცის ხომ გონება,—  
 ურიცხვი გვაქვს უცხო მოგონება,—  
 მრავლთ-მრავალი, ვერც კი მოთსვლის ენა—  
 წყალში ცურვა თუ ჰაერში ფრენა!..  
 მაგრამ ერთი რჩება მარად წყლული:  
**უმადღრობა, ურთერთობა მტრული!**  
 და ამ სენის გასაქრობი, მგონი,  
 არ გველირსოს დიდხანს გამომგონი...  
 დიდხანს... მაგრამ ოდესმე კი—მჯერა—

მოისპობა სალი გრძნობის ქერა—  
და ფრთას გაშლის ლალი გულის ნება—  
და სამოთხე ამ ქვეყნათ იქნება!..  
ოხ, რა მინდა იმ დროს მე ცხოვრება!..  
და ვაი, რომ აღარ მეცხოვრება!..

მაგრამ ნუ-თუ უნდა გავქრე სრულათ?!  
მინდა, მინდა-ვიქცე უკვდავ სულათ—  
და ვიხილო ხალხის ლხენა, შვება,  
დღეს ურთერთის სისხლის ღვრით რომ შვრება..  
ჰე, მოყვასო! ვინც მაშინ იქნებით,  
მოიგონეთ, რაც მწადია ვნებით,—  
ბუნებასა მშვიდს ათხოვეთ სმენა—  
და ჩემ სულსაც იქ იხილავთ თქვენა!..  
ადამიანთ ბოროტებით მკვდარი,  
ბუნებაში ვიყავ მუდამ მტკბარი—  
და მთლათ ჩემი გრძნობა, ჩემი სული  
მუნ იქნება მარად უკვდავ-სრული...  
როს რიონი აჩუხჩუხდეს ლხენით,  
წაიკითხეთ ჩემი სულის ენით,  
რომ მიხარის ჩვენი ერის შვება,  
სხვებთან ერთად მის თავისუფლება!..  
ბულბულთ რაკრავს, ამოს, ციურ სტვენას  
შეფუერთებ ჩემი სულის ლხენას,  
რომ სამშობლოს ტრფობით ხართ გართული,  
რომ თქვენს შორის ისმის ტკბილ-ქართული!..  
როს ნიაფი საამური ქროლით  
გიაშბორებსთ სახეს ნაზი თრთოლით,  
იცოდეთ, რომ ის არს ჩემი სული,  
თქვენი ლხენით სალხენათ მოსული!..

ჰე, ძვირფასო! ჩემო სასურველო  
ტყეო, ტყეო! მთაო, მიდორ-ველო!  
მოწამლული ხალხის შხამით, სენით—  
თქვენთან ვიყავ და ვცოცხლობდი თქვენით!..  
ოხ, რამდენჯერ, ტყენო, თქვენს კალთებში

ჩამიდგია თავი მყუდრო მთებში!..  
 სულით, გულით მომისვენებია,—  
 შხამ-ნალველი არ გამხსენებია!..  
 თქვენს ნორჩ ბალახს, ბუჩქებს, ნახ ფოთოლსა,  
 ტკბილ-ნიავით წყნარათ ანათროლოსა,  
 ოხ, რამდენჯერ დაეკონივარ ბავით,  
 გახურებულ-დამწვარ-დანადავით—  
 და მიგრძენია ტკბილი ჟრუანტელი  
 და მყის ცეცხლი გამჭრობია მწველი!..

ია-ვარდნო, ყვაველებო მთისა!

ჩემი სული ისე შეეთვისა  
 თქვენსა ცქერას, თქვენთან საუბარსა,  
 რომ არ ძალმიძს—თქვენ და თქვენს მთა-ბარსა  
 მოვაშორო ფიქრი, მე გონება...  
 თქვენი მზერა მარად მეგონება—  
 და მწაღია-თქვენთან დავრჩე სულით,  
 მთელი ფიქრით, ჩემი გრძნობით სრულით...  
 და დავრჩები! სულ თქვენთან ვიქნები!..  
 არ მოკვდები! მხოლოდ გავიქნები  
 მე მშობლიურ სატრფო ბუნებაში,  
 მშობელ ერის გრძნობა-გონებაში!..  
 და როდესაც მთლათ კაცობრიობა  
 ურთერთ-შორის მშვიდათ მოეწყობა,  
 და როს ჩემი მშობლიური ერი  
 შეიქნება სრულათ ბედნიერი,—  
 ჩემი სულიც მაშინ გაიხარებს—  
 და ცხოვრებას, დღეს კრულს და შხამიანს,  
 მის მომწამლველს ბედკრულ ადამიანს—  
 მხოლოდ მაშინ, მაშინ შეიყვარებს!..

სილოვანი.

1915 წლის

სექტემბერი.

სალამო წმინდა ვარქიის  
ღვთისმშობლის ეკლესიაში.




საყდრების ჩრდილი. უდაბური კარავ-სეგანი—  
ჩემს დაღლილ სულში ასვენია ფირუზის ხატიო.  
მიყვარს წმინდანთა საფლავებზე ლამის თევანი  
და მუჯამარი, მოქედელი ლალით და სათით...  
წინათ ჰყვოდა აქ ვარძია, როგორც მტევანი,  
და სურნელ ტყავზე კრთოდა ვაზი, ქარვად ნახატი.  
ახლაც იტაცებს ჩემს გონებას, ვით ანდამატი:  
ბერი მიქაელ, წმინდა ეზრა და ქეთევანი...  
სულს ათრობს უცხო მოგონება—ნაზი, ზჩეული:  
როსტევან მეფე. ტარიელი. ციხე ქაჯეთის.  
ამაყ რაინდებს შვენის სტავრა და ფარჩეული.  
ო, უნდა აღსდგეს ლაზისტანი, დიდი კლარჯეთი!  
და, როცა ომში სისხლიანი გველის პარადი,—  
უამარ მტერზე გამარჯვება გეწამდეს მარადი.

1920 წ.

ვასო გორგაძე.

ორგია მთვრალ მშობრებთან მძესპრსნიაში.



მოვთვლავთ ჩრდილებს, დაცემულებს შავი სერგებით...  
ვეუფლეთ ივნისს, ჩამოსიციხულს და ნახლამიანს...  
ასეთი ვნებით ჩვენ მრავალჯერ დავისერგებით:—  
დღეს იუვენტა გვთავაზობდა ჭიქას შხამიანს...  
...და მეგობრები გავაზების ფრთებით მორბიან,  
შმაგი სურვილის აპოგეი ახრჩობს გოლიათს;  
ბახუსის ლოცვა შემიმჩატებს ფიქრს ფრთა-ორბიანს...  
ჩვენი ოცნების სენიორი აღკოგოლია!..  
აშფოთებს ველებს ცეცხლნარევე ჩვენი ორგია,—  
ვაბრუებთ ყანებს, ჯეჯილებს და მწვანე ვენახებს...  
დღეს ჩვენი სული უჩვეულოთ ანაბორგია:—  
ვართ რაინდები და ჩვენს ნებას ხელს ვერვინ ახებს!..  
ახლა ჩემს მღერას შეუძლია ძღვევაც დაძლიოს,—  
ეცემა ჩვენს წინ ჰორიზონტი ფრთების მოკვეციით...  
ხეცავ, აღარ მსურს ჩემმა ჩანგმა ხარკი გაძლიოს...  
მოვალთ ლოთები!.. მთვარევ, შესდექ! მზე გვსურს, მოგვეციო!..

ივნისი 21 წ.

ბესარიონ ულენტი.

ამაყი მინის ძლიერება გრძობას უმატებს,  
 ლეწავს სახეებს სიყვარულის დანით დაქრილი,  
 მწუხარე ქარი გადაუბრუნს მწვანე გუმბათებს,  
 ფირუზ ფოთლებში გადაისვრის თეთრი აპრილი.

გაჰქრება იგი ამ ქვეყნიდან ქსოვილ მითებზე,  
 თეთრი დოღბანდი დაუფარავს მიძინებულ ტანს,  
 აღიმართება მქლე სანთელი გამხმარ თითებზე,  
 წავა ლანდივით და სიხარულს სადღაც ჩაიტანს...

მზიანი სარკე სხივებს ისვრის, რაც რომ წესია...  
 არიფთა გროვა სიტყვას უძღვნის ნეტარებით მშვიდს...  
 ეკლესიამდი მიაცილებს მას პროცესია,  
 და იქ ხუცესი გადაუხდის ჩვეულ პანაშვიდს.

ზარების ხმებში მწარე კენესა გაიფანტება,  
 ცხელი ცრემლები მოხარულ ტვინს გადააღხინებს,  
 საცეცხლეურებში ყრუ ნაკვერცხლის უცბათ ანთება  
 გაედევნება შავი კვამლით თეთრ ბალდახინებს...

წლების დაცვენას თან გაჰყვება დიდხინის გლოვა,  
 თეთრ სასახლეში ბროლის მინას ორთქლით მორთავენ,  
 სიხარულის მზე სოველ ტანით ახლათ ამოვა...  
 სასაფლაოზე ამარტის ქვით ძეგლს აღმართავენ.

მოვერცხლულ დანით დააწერენ ტრფობის სიამეს,  
 მტირალი სახით ამ ძვირფას ქვას არვინ ენდობა,  
 დააყენებენ უცხო დარაჯს ყოველთვის ღამეს...  
 პირველო მგზავრო! თუ გაივლი, მიეც შენდობა!..

ა. გაბესკირია.

ყვავილის სუნთქვით ღამეს ეწვევით,  
გადაჭრილ თვალებს ავსებთ სიცილით.  
თქვენ ყელსახვევი მძიმე ბეწვებით  
გადაიცილეთ...

აღარ იყვარებთ სევდიან პოეტს,  
რადგან დაცემა იყო მართალი.  
ტკბილ მოლოდინში სიმწარე პოეთ,  
ხარო ვნებიანი და უღარდელი.

მაღალი: რუხი: სოველი ღამე.  
ვქანაობ თმებში—ძვირფასი ვაჟი.  
უეცრად ტუჩზე იკივლა ღიმილა,  
თითქო ვკვდებოდი ვილისას თმაში.

ო, დედოფალო! საფლავს მორთავენ,  
ძვლების სურნელი აყვავილდება;  
უნდა მივიდეთ მთურალი ორთავე  
და შეგვაშინებს მისი შვილდები.

ავი, საშიში და რეტინი—  
დიდხანს იქნება ლოცვა მაკაბრის;  
დაარღვევს ფერებს ხველება მწვანე  
და აგვატირებს ცოდვა მეგობრებს.

უან ღოღობერიძე

ს ე ვ დ ი ს რ ა ზ ი.

ვრცელს უდაბნოში მიმაფრენს რაში  
გრიგალის ფრთებით—ელვისებრ მალი.  
ოაზისი კი არსად ჩანს გზაში,  
სიბნელის მეტსა ვერას ქვრეტს თვალი...

ნეტავ უდაბნოს თუ გადავივლი,  
ან იმის იქით არსებობს რამე?..  
განვლილ მანძილსა წამებით ვითვლი...  
ბედის მწერელო, მითხარი რამე!...

ს. კვანტალიანი.

## ბედის ვარსკვლავი

(ესკიზი).

მზის პირველი სხივები მწვერვალების უმაღლეს დარბაზის თალებს ხვდებოდა; ერთი კუთხიდან მეორემდე ფარშავანგის ყვილიც ვერ აღწევდა.

დიღებულნი და მდაბიონი ირეოდენ.

გაილო კარი; სმენათ იქცა ერი, სახლთხუცესმა განაცხადა, ღმრადებელნი იმეორებდენ:

„ჩვენი მშვენიერთ მშვენიერი მეფის ასული დაემორჩილა მწყალობელი მშობლის სურვილს... ისმინა ვედრება თქვენი... აღირჩევს იგი მეუღლეს... ოდეს მამხალეებმა განაპონ ჰაერი და ცა მოიქედოს ხელოვნური ვარსკვლავებითა, შემოკრბით ნადიმსა და ზეიმზე... აქ ბედნიერს დაასახელებს დედოფალი — და ვუგალობოთ ოსანნა და მრავალ-ქამიერ.

ქრიაშულით დაიშალა ხალხი.

შიკრიკები ტოროლა-მახარობლათ მოედგენ ქვეყანას, ზურაბ მეფეს ნადიმი აქვს გაზაფხულის პირველ მთვარის სისრულეზე და გაწვიათო.

შეიძრა ერი... ფერავდენ ფერმკრთალ სამკაულს... დოდისთვის ახამებდენ ცხენებს... კერავდენ ოქრომკედით...

პატარა ბავშვებიც კი დარბოდენ ერთი კუთხიდან მეორეზე, რომ ნამუსათ გადაეტან-გადმოეტანათ გუნდა და ლახოსტაკი, ფერი და უმარილი. მესტიერეს და მეჭიანურეს საკრავები მოუქედეს; შვილდი და ისარი გამოაწყვეს; სურა და წუმწუმმა მოიკითხეს.

ბწნიდენ ჩასამატებელ თმას... მივარდნილ კუთხეებში არჩევბსა და ირმებს დასდევედენ ენაგადმოვარდნილი ძაღლები.

ჯურღმულებში მეთევზენი ყვინთავდენ,

კუბო და ტრახტავანდები გაბანდეს, შემოსეს ფარჩა-აბრეშუმით.

ხდიდენ ვარდის წყალს...

ვის ირჩევს ნარნარი?

ვის მოეხვევა ყელბროლი?

ვინ იმღერებს:

„ცოლათ მყავს ქალი ეთერი, ყელი მოუღერებია?“

და ვაჟკაცთ იმედი უბრწყინავდა ოცნების მივარდნილ კუნჭულში: იქნებ მე!

... მამა და შვილი დადიოდნენ კარავთა, სასახლეთა, მტილთა და ხე-  
ვანთა შორის, ებასებოდნენ სტუმართა და დიდებულთა, ლაღობდნენ—და  
გავიდა დღენი... მოუთმენლობამ მოიცვა სასახლის თვალუწვედნელი ბანაკი  
—დედოფალი არავისზე აჩერებდა თვალს და ძველებზე წყნარი—პირმოცი-  
ნარი შორდებოდა ბანოვანთა და ყრმათა ჯგუფებს.

მხიარული იყვნენ მხოლოდ ქალნი, ეცნობოდნენ მრავალთა და ფიქ-  
რობდნენ:

ყველას ხომ ვერ წაიყვანს დედოფალი—იქნებ ეს შავტაიჭოსანი ჩემი  
ბედიან...

კრთომა, ბნედა, ტკბილი მოლოდინი...

და მუდმივი, მუდმივი ქვრეტა. თვალ-ყური, ვის ემუსაიფება დედო-  
ფალი—ვის დაკარგავს საქალეთი და ვინ დარჩება თავისუფალი; ქალნი  
ვაჟებზე მეტათ უთვალთვალდნენ შეფის ასულს...

— მოითმინე, მამა, დაუგდე ყური!

შეჩერდენ.

— სალამურია, შვილო!

— გაჩუმდი, მამა!...

— საკვირველია! თარი და კიანური არ მოგწონს და სალამურს  
უგდებ ყურს?!...

— ძლიერ ტკბილია, გულში ჩამწვდომი.

— გახსოვს აპოლოს და მარსის არაკი?

— კი, მამა, მაგრამ დასაკრავზე მეტი დამკვრელი და მისი გულია.  
წავიდეთ, ვნახოთ—ვინ უკრავს...

მიუახლოვდენ.

ძელქვას მიწოლილი მწყემსი უკრავდა.

წამოხტა.

• მთელ ტანს მხოლოდ ცხერის ტყავი უფარავდა; მკლავები და ხელები  
შიშველი, გულმოდელილი; უქუდო... იყო მხოლოდ ვაჟი—

და ვაჟი მშვენიერი.

და როცა სალამური უბეში ჩაიდო და კომბალს მარჯვენით შორს  
გადახრილს დაეყრდნო, ის იყო ვაჟი...

— შენ აქ რა გინდა?—ჰკითხა მეფემ.

— ახლად მოყვანილი კრავები ფრთხებიან და მიბრძანეს მათ დასა-  
მშვიდებლათ აქ სალამური ვუკრა...

ქალმა იკივლა:

— მახრა, მახრა!

მწყემსი უეცრათ წვდა დედოფალს შუბლზე და აიყვანა მახრა...  
სრისა, მაგრამ საჩქაროთვე დააგდო.

- გიკბინა?
- არაფერია, გამოვწუწუნი, ხშირათ უკბენია...
- მეფე წასვლას აპირებდა. დედოფალმა შეაჩერა.
- ამასაც უკითხავ ჩემს ამოცანებს.
- მეფეს გაელიმა.
- რამდენი ვარსკვლავია ცაზე?
- ბედის ვარსკვლავი ერთია და სხვების დათვლაც არა ღირს.
- რა არის ყველაფერზე უფრო ძლიერი?
- სიყვარული...
- უფრო ტკბილი?
- ამბორი...
- უფრო ნაზი?
- ალფრსი...

- მამა, მე იმ მწყემსს უნდა გავყვე.
- რას ამბობ, შვილო? ხუმრობ?!
- არა, მამა... ან მაგი, ან არავინ...
- შვილო, ერთი წუთით მოგეწონა, თორემ მაგასთან ვერ იცხოვრებ, არ შეგეფერება... გაუნათლებელი, უხეში...
- ის მირჩევხია...
- შვილო, რათ მიკარგავ მოხუცების იმედს?
- მამა, ყოველთვის მე ვასრულებდი შენს თხოვნას... ახლა შენ ამირუღე.. ყოველთვის შენს ბედნიერებათ მე მთვალა, ახლა ჩემი ბედნიერებაც მომეცი.

— ვინ იკადრებს მაგის მეფობას? სასაცილოთ აგვიგდებენ, ხალხი აგვიჯანყდება.

— რა საჭიროა ქვეყანას გავაგებინოთ, თუ ვინ არის... ჩუმათ შემოვაპაროთ... ის არწივია, მე კი ხოხობი—და ქალმა მორცხვობით თავი ჩამალა მამის წვერებით დაფარულ მკერდზე...

- შვილო, უხეშია, უბრალო მწყემსი...
- მამა, რათ ეძებ სახელს, გვარიშვილობას? როცა ხალხი დაინახავს, თვით გამოუძებნის შესაფერ სახელწოდებას...

გადიამ სიფრთხილით შეიყვანა მწყემსი სასახლის საპირფარეშოში, გაუღო კარი აბანოსი, მიართვა ხალათი, ქოში და ნელსაცხებელი და კრძალვით განშორდა ადგილს.

და როცა მწყემსი შებრძანდა საბანებელს, დახვდა მას მექისა  
მუშკამბარი...

ჯერ ქალმა მოჰკრა თვალი; მერე ქალებმა დაინახეს... მერე მთელმა  
სასახლემ.

— ვინ არის?

— სადაურია?

— არწივია! მთის მეფის შვილია!

— ციდან მოსულა!—გადადიოდა წინა რიგებიდან უკან, და რაც  
უფრო უახლოვდებოდა ბოლოს, მით უფრო მტკიცდებოდა სახელი მისი:  
„მთის არწივი, ჩვენს მფარველათ მოვლინებული“, და ეს სახელი უკანვე  
გამოჰყვებოდა—დაკანონებული დაუბრუნდა წინა რიგებს დასამახსოვრებლათ,  
გამოსათქმელათ აწ სამარადისოთ.

— ვაშა ჩვენს გვრიტს და მთის არწივს, ვაჟათ მოვლენილს... ვაშა!  
ოსანნა! გიხაროდენ!...

სანთლებით შექედილ კედლებზე კიანთობენ თვალნი პატროსანნი და  
კრთიან მრავალფერაით. ბრილიანტის სხივებს გადუსერავს მორცხვი იაგუნდი,  
ფერმკრთალი მარგალიტი შემოხვევია ლაღს და სიწითლით გათამაშებული  
ხიბლავს თვალს.

ზევით ავარდნილი შადრევანის ღელე, წვეთათ ღმტვერათ ქცეული,  
უხმოთ ვარდება, სხივფენილი, საზღაპრო...

სურნელება ათრობს; რხევა ტანთა და ღიმილი თვალ-ტუჩ-კბილთა  
ჰქმნის მხიარულებისა და კმაყოფილების სიოს...

ალახვეს კარნი... გამოჩნდენ ოქრო-ვერცხლ-მარგალიტებში ჩამსხდარ-  
ნი დიდებულნი და მშვენიერნი...

ციმციმობენ, კოპწიაობენ ვარსკვლავნი... ხოლო ეკარგებათ ფერი და  
იერი, როს გამოვა მანათობელი ცისა და დედოფლურის რხევით მიმოი-  
ვლის სამფლობელოს; მასაც შერცხვება, დაკარგავს სახეს, როცა მზე გად-  
ფინება თვალის კიდობანს...

ასე ლამაზნი შეკრთენ, როცა შევენებათ გამოჩნდა ამალის წინ მომა-  
ვალი... მანაც ქალურის შურით დახარა თვალი დედოფლის გამოსვლაზე.

უცხო სანახაობით მოხიბლული ხალხი ვერ იღებდა ხმას; ტყვეთა  
ქმნილნი ძლივს სუნთქავდენ, და როცა უშორესმა ვიღამაც დაიძახა:

— ვაშა!

კიდევ ვერ ამბობდენ თავის განცვიფრებას, თითქოს ეშინოდათ, ხმა  
გააქრობს სიზმრის ჩვენებასო.

...იგრილა დარბაზმა: დაგუბებული ჰაერი აღმოხდა მძინართ...

მეფემ დაადგა გვირგვინი.

შორიდან, თითქოს ცის იქეთიდან, ისმოდა გალობა... აგუფუნდა, ვით ცით მონაბერი თაღებში ქანდარაზე მიმალული მომღერალთა გუნდი.

სამღვდლოებამ აღასრულა წესი... დედოფალი გადიხარა ამბორის საყოფათ... მწყემსიც დაიწია, დაეწაფა და...

„სადაური არწივია, რას არ ისულელებს ჩვენი ხალხი?!“

ისეთივეა, როგორც ათასი ჩვენი სხვა ყმაწვილი. შეიძლება ზოგიერთ-ზე უფრო გონებამახვილი, ზოგიერთზე უფრო ლამაზი, მაგრამ ზოგიერთ-ზე უფრო სუსტი და უხეში...

— მაინც კარგია...

— მაგას არ სჯობია ჩვენი რევაზი?

— ნეტავ ზურაბსავით თუ დაუკრას ქნარი!

— უი, თვალი კი დამიდგა! სადაური მეფის შვილი და არწივია?! ჩვენი მწყემსია! მოდი დაუძახო დე დაეტუქსო ჩვენი ჯოგის დატოვებისათვის!

— ჩუ, დედაკაცო, ხომ არ გადაარეულხარ! დღეიდან იგი მეფეა, — არ დაგავიწყდეს!...

— ღმერთმა კი შეარცხვინა მაგისთანა მეფე! — ცოტა არ იყოს ზიზ-ლით წამოიკისკისა ახალგაზდა ქალმა.

და შეიქნა ჩვეულებრივი განქიქება და ქება ახალგაზდა მეფის... ძველი, უღაზათო სახელიც კი მოუნახეს — **გლახუა**... მცირდებოდა თაყვანის მცემელთა რიცხვი... მრავლდებოდნენ უკმაყოფილონი... გულგრილობა მეფედებოდა.

ახალგაზდა დედოფალი მოახლეता შორის სულგანაბული იჯდა და ფიქრობდა:

— რა ჩავიდინე!... თანშეზღილი, ან ნაცნობი ვინმე ამერჩია, ვიდრე ეს ნადირი... ნადირი მაინც იყოს — ცხოველია ჩვეულებრივი... შევცდი... უნდა გამოვაკეთო... მე ვიმეფებ, ის კი... ის უნდა იქნეს მორჩილი... გაიწრთენება, არაფერია...

თვით გლახუა კი გულუბრყვილოთ ამბობდა:

— რა ღმერთი გამიწყრა! „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“... დილას კი ბედნიერათ ვთვლიდი თავს... უცდი ჩემ ცოლს და ვერ გამიბედავს დაუძახო.

— ნეტავი ამ ტანჯვას გადავრჩებოდე — ფიქრობდა გამეფებული მწყემსი.

ნატვრა არ იყო საჭირო: ცხოვრების ჩარხს აქ ჰქონდა გადაწყვეტილი შეეჩერებია თავისი ხანმოკლე ტრიალი.

რაც ვერ შესძლო მორიელის შხამმა, შეასრულა გულგრილობის გესლმა:

ცელიანი ჩონჩხი მიუახლოვდა მწყემსს...

ბედის ვარსკვლავი ჩაჰქრა...

## უცნაური სარკე.

თავადი დალიანის გვარში ყოველთვის საბედისწერო იყო უმცროსი ვაჟების ცხოვრება: გაიზრდებოდენ ყველაზე ამაყნი, ახოვანნი—და მეთვრამეტე გაზაფხულზე, საკუთარ ოთახში, ყვაილებითა და თეთრი ვარდებით დაფენილ იატაკზე ნახავდენ მკვდარს.

არავინ იცოდა საიდუმლოება მათი სიკვდილის.

საუკუნეები თავს ეფარენ ცივი სიჩუმით—საბედისწერო იღუმალობას; მხოლოდ კუთხეში ამაყათ მდგომმა სარკემ იცოდა ყველაფერი, საიდუმლოებას არავის უმხელდა და როგორც სფინქსი ცივი იყო და მდუმარე.

### I.

ძვირფასი ოქროს ჩარჩოიანი სარკე, ჩვეულებით, გადადიოდა ხოლმე დალიანის გვარში უმცროს ვაჟზე.

ათი წლისა გახდებოდა თუ არა უმცროსი, იგი სარკის კავალერი შეიქნებოდა და სარკეში სტკბებოდა თვისი სიკეკლუციით; სარკე კი გულჩათხრობილი, სხივმფინარე უმზადებდა საბედისწერო გაკვეთილს; ყმაწვილის სკრიალს გულში იკრავდა, თვის სიღრმეში იზიდავდა...

საათობით იჯდა ჭაბუკი სარკის წინ და—მისი თრთოლვით მოჯადოებული—სტკბებოდა...

### 2.

ახალ გაზაფხულზე დაკრავდა თუ არა საათები ყმაწვილის ცხოვრების მეთვრამეტე წელსა, სარკე არაჩვეულებრივი შეიქნებოდა. მისი ანდამატის ძალა, მინიდან გამომკრთალი, ართავდა სათუთ ძაფებს, ქსოვდა ჯადო ბადეს, შიგ ხვევდა სათნო ჭაბუკს და აღარსად უშვებდა.

მთელი დღეები იჯდა იგი სარკის წინ.

სასახლეში შიში იყო... დუმილი...

იწვოდა მოჩვენებებით ხავსიანი კოშკი.

ბალებში დაძრწოდენ შავი კატები.

გაკიოდენ კოტები... ჭაბუკი სარკეს ჩაშტერებოდა და გაზაფხულზე, როცა პირველი ნარგიზი გაიშლებოდა, სუმბული ფრთებს შეისხამდა და შროშანა ათქვირდებოდა, სარკეში სასწაული ხდებოდა: შუალამეზე სარკე უცებ დაიბურებოდა, ორთქლი შავი ზეწარივით გადევკვროდა და შიგ მაცქე-

რალი ყმაწვილი სუნთქვას შეწყვეტდა. ნელა, შუაზე გადიყოფოდა ზეწარი—და სარკის სიღრმეში გამოკრთებოდა უცნობ ასულის სილუეტი.

საოცნებო ცისფერი თალხი ფარავდა მის სხეულს.

უცნობი ასული ხელებს განით გაიშვერდა—და თალხი ნელა იწყებდა დაბლისკენ სრბოლას; გამოჩნდებოდა: მაღალი შუბლი, შავი, მწველი, ბრი-ალა თვალები—ნახშირით გადახაზულ წარბებით.

გაიელვებდა მომღიმარე სახე—ცოდვებით ნახაზი და სიტკბოებით საცხე, სადაც თავი მოეყარა მთელი ქვეყნის შვენებას... წამი, და ასულს წელზე დაეხვეოდა თალხი და იგი მთრთოლვარე მკერდით მოსჩანდა, როგორც მწველი ასული ბაბილონისა.

თითქო ცეცხლი ენთებოდა სარკეში, ისე გიზგიზი მისი ტანს ევლებოდა ჭაბუკს და იგი თორნესავით მხურვალე და ყაჩაღივით ცოდვილი ვნებით იწვოდა...

ჭაბუკი ხელებს გაიშვერდა წინ, უნდა წამოდგეს, მაგრამ გაისმოდა ვნებიანი ხმა უცხო ასულის:

— შესდექ! მე მოვალ შენთან, როცა გაიშლებიან ვარდები თეთრი და მწველი, როგორც ჩემი ტანი! მე მოვალ ვარდის თვეში, როცა მზე ცხოველია, როგორც სუნთქვა ჩემი მკერდისა! მე მოვალ და ჩემის ალერსით დაგწვავ, ისე როგორც ცეცხლი სწვავს საკმეველს... ვარდის-თვის პირველ მთვარის გავსების დროს ხავერდოვანი თეთრი ვარდებით დაფინეოთახი, ბუმბულივით რბილი იყოს იგი—და მაშინ მოვალ! მოვალ ცეცხლური ტანით და ჩვენი სხეულით დავსწვათ თეთრი ვარდები, ისე როგორც ანთებული ალმური სწვავს მწვანე ბალახს!..

ქრებოდა...

შავი ზეწარი გადაეკვროდა სარკეს...

3.

ყმაწვილი უცხო ჩვენებით გაბნედილი უცდიდა ვარდის-თვეს, როცა მთვარე ცაზე გაივსებოდა.

სისხლი ვნებით თვრებოდა მის სხეულში და ვარდები მზის სხივებით გამთბარი ყვავილდებოდნენ.

ელოდა ყმაწვილი უცხო სანახაობას და ვერ მოეცადა.

თეთრი ვარდები მზის სხივებით თვრებოდნენ, ნელა იშლებოდნენ...

ყმაწვილის ტანი ნელა იწვოდა, თრთოდა და ცოდვილი ვნებით იხნიქებოდა....

4.

ვარდის-თვე იყო: მწველი, ბულიანი.

თავად დალიანის ვაჟს თეთრი ვარდებით დაეფინა მთელი ოთახი.

ძირს ნაფენი ვეფხის ტყავები აღარ სჩანდა, სევდიანი, თავადერილი გამო-  
იყურებოდენ დაფენილი ვარდები, ნაზი სურნელება ათრობდა ოთახს.

გაბადრული სავსე მთვარის სხივები თეთრი ანგელოსებივით მოიპა-  
რებოდენ სარკმელში.

ყმაწვილი სარკესთან იჯდა—ვნებიანი, ზმორებით მოთენთილი,  
შუალამეა...

მთვარის თეთრი სხივები ჩიტებივით გაფრთხილდენ ოთახიდან.  
ოთახში აციმციმდა ანთებული ჭალი.

სიჩუმე...

გაშავდა სარკე: და გამოჩნდა ცეცხლის ასული.

— მოვედი! და ცახცახებდა სარკეში...

წამი—და თალხი გადიძრო. დამთვრალი ტიტველი სხეულის ცხელი  
ანთება მოედო ყმაწვილის ტანს და კისერზე იგრძნო მთრთოლვარე ხე-  
ლები..

ანთებული ჩაეკრა გულში, ვით ფარვანა სანთელს, და . . .  
. . . . .

5.

მეორე დღეს....

თავად დალიანის უმცროსი ვაჟი—მთლათ შიშველი, ვარდებზე მწო-  
ლიარე, უსულო ნახეს.

მოთენთილი სახე, უსიცოცხლო თვალები..

იატაკზე მრავლათ ეყარა ვარდები: ფერწასული, მოთელილი, ბევრ-  
გან სისხლით ნაღები...

რამდენიმე კიდევ ცოცხალი ვარდის ფურცელი ჭაბუკის ტუჩებს და-  
კვროდა და ვნებიანი ღიმილი დაეკოცნა....

დია ჩიანელი.

## ცხოვრების წესწესები.

### I.

ქალია თუ კაცი?!

მას ცოლი მოუყვდა... ადამიანი, რომელსაც აღმერთებდა, ათაყვანებდა, რომლის თვალის გამომეტყველებაშიც სიცოცხლის ხალისს ხედავდა და რომლის ტუჩებზეც სიყვარულის ყვაილებს კრეფდა, ამ საიდუმლო მოვლენის შემდეგ გაცივდა, გაფითრდა.

მიცვალებული არ იცდის -სასაფლაოსკენ იყურება.

ვარდებით დატვირთულ კუბოს ნელა მიაქანებს პროცესია.

ის აღშფოთებული მიყვება ცხედარს... ტვინი უღელს...

იგონებს პირველ აღერსს... იგონებს მისი თვალების სიცოცხლეს ..

ახლა ის კუბოშია—ფიქრობს მწარეთ.

მისი ძარღვები სამართებლის პიროზე დახტიან... თვალმაც უმტყუნა: მისი უხრით ბუნებაც კი გამოცვლილა... მას ეჩვენება, თითქოს მთელი სამყარო მას თანაუგრძნობს—და ცრემლი ასკდება.

ქუჩა ვიწროვდება. პროცესია მკვრივდება. ამ დროს მან თვალები ასწია და დაინახა მათ პირისპირ მომავალი ვიღაც უცნობი, რომელიც ოდნავ შეჩერდა, კუბოსკენ გულგრილათ გაიხედა და პროცესიის ერთ წვევრს ცნობის-მოყვარეობით დაეკითხა: „ქალია თუ კაცი?“

### II.

ჩაფიქრებული ღმერთი.

ერთ სოფლის ეკლესიიდან დაიკარგა სათაყვანებელი ხატი.

ატყდა ტირილი, ხვეწნა, მუდარა.

დიდი, პატარა, ქალი თუ კაცი ამ ხატს თვალცრემლიანი მოითხოვდა.

გაჩნდა ცეცხლი—ხატის დაკარგვას დააბრალებს.

მოკვდა მოულოდნელათ ხუცის ცოლი—მოგვიძულა ღმერთმაო!

სოფლის ცრემლი და ვედრება ისმინა უფალმა და წმ. მათეს უბრძანა: ჩადი იმ სოფელში, რომელსაც ხატი დაეკარგა, და მოთავსდი იმ ადგილას, სადაც მათი ხატი ესვენაო.

წმ. მათემ ღვთის ბრძანება აასრულა.

— არ გვინდა ახალი ხატი!—იძახოდნ ქალები.

— ჩვენ გვინდა ჩვენი ხატი!—მოსთკვამდა სოფელი.

ლამით წმ. მათე გაიპარა ცაში და უფალს წარუდგა.

— თვალები კინალამ ამომთხარეს.. იქ ყოფნა არ შემიძლია.

საქართველო  
პარლამენტი  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



მათ ჩვეულება ხასიათად გადაუქცევიათ!—უკმაყოფილოთ დაუმატებელია  
 წმ. მათემ.

— გადაიქცი ხატათ—უბრძანა ღმერთმა წმ. გიორგის.  
 მეორე დღეს ეკლესიას ახალი გაბრწყინებული ხატი მოევიწიანა.  
 — აქ რაღაც მაცდურებაა!!—იძახოდა სოფელი.  
 როგორც იქნა სკლამომდი გაძლო წმ. გიორგიმ და უფალს წარუდგა.  
 — იქ გაჩერება გამიჭირდა—მწარეთ სთქვა წმ. გიორგიმ.  
 უფალი სდუმდა...  
 სოფლიდან კი ხვეწნა და მუდარა მოესმოდა...

III.

უ ს ი ს ხ ლ ო რ ო მ ა ნ ი.

გაბრწყინებული დარბაზი... გრძნობის გამაღიზიანებელი მუსიკის ხმის მეუფება... ფერადი ჩაცმულობა: ბევრი ხავერდი, აბრეშუმი, ტიტველი მკლავები, თეთრი მკერდები, მარმარილოს ყელები... ყვავილები... ოდეკალონის სურნელება... სიცილი, ღიმილი, ანთებული თვალები, ორჭოფული გამოთქმა... სიხალისე, უდარდებლობა, ნეტარების მეუფება...

-- უკაცრავათ... თქვენი უკანასკნელი სიტყვა... დრო მი დის და თქვენ მხოლოდ არშიყობთ—ეუბნება ერთი ასული თვალმიზნედილ ყმაწვილს...

— მე მხოლოდ ეს შემიძლია!...

— გმადლობთ .. ხომ ხელავთ აი იქ, მაღალ მამაკაცს... მალე ის ჩემი ქმარი გახდება.

ნუ-თუ?!—ძალდატანებული გულგრილობით ეკითხება ვაჟი.

პასუხის ნაცვლათ—ქალის გაყინული ღიმილი...

ბრწყინავს ელექტრო. გაისმის ვალსი. ასული მაღალ მამაკაცთან ცეკვის კორიანტელში იფლება .. ბროლის ყელები, მარმარილოს ხელები, ტიტველი მკერდები დარბაზს ნელ-ნელა ათრობენ...

IV.

წ ა გ ე ბ უ ლ ი ნ ა ძ ლ ე ვ ი.

ეს ამბავი ბათომში მოხდა—დაიწყო ერთმა ჩემმა მეგობარმა. რამდენიმე კაცი ბალის კიოსკში ვისხედით და გრილ წყალს შევექცეოდით. წყნარი, მშვიდი ზღვა მზეზე გასათფობათ გაწოლილი ღომის ფაფარს წააგავდა. მსუბუქი, ნაზი და სასუნთქათ სასიამოვნო ჰაერი ფილტვების მოძრაობას გვიხშირებდა.

ხალხი პლაჟზე უკვე გროვდებოდა.

ჩვენ საუბარში ვიყავით გართული, რომ მოულოდნელათ მოგვიახლოვდა ერთი ქალი.

ეს ქალი სწორეთ ზაუცხოო იყო. მას ქონდა მაღალი, ახოვანი ტანი მისი სიარული იყო მსუბუქი, ჰაეროვანი და ელასტიური. ტანზე აბრეშუ-

მის კაბა ეცვა და ხელში ვარდის-ფერ ქოლგას ათამაშებდა. თეთრს, თოვლის ფიფქის-ფერ სახეზე წარბ-წამწამი შავათ უელავდა.

მას თავი ისე კოხტათ და თამამათ ეჭირა, თითქოს მთელი მსოფლიოს მშვენიერებას თვისი გრძნობიერი ტუჩებით იზიდავსო. ქალი იქვე ახლო ჩამოჯდა.

— ეგ რა საუცხოო არსებაა!—დაიძახა ერთმა ჩვენი წრიდან.

— ალბათ ინგლისელია—სთქვა მეორემ.

— როგორ გეკადრებათ! პირთეთრი, შავთვალ-წარბა ქალი ინგლისელი როგორ იქნება! ალბათ იტალიის საკონსულოდან არის,—შვენიშნე მე.

— ვინც გინდა იყოს, მაგრამ სწორეთ საუცხოო არსებაა.

ჩვენი ერთი ამხანაგი, სანდრო მამიაშვილი, ამ დროს არაფერს ამბობდა.

— შენ რამ გავაჩუმა, კაცო?!—შვენიშნა ერთმა.

— რა მეთქმის!—სთქვა სანდრომ —მე ბათომს გუშინ ჩამოვედი და აქაურობით ისე აღფრთოვანებული ვარ, რომ არ ვიცი, ვის ვეჭრფივალო, ქალებს თუ ბუნებას. მაგრამ ერთს კი თამამათ ვიტყვი: შეძლება რო მქონდეს, ეს ლამაზი ქალი რამდენიმე დღეში ჩემი მეგობარი გახდება... უფრო მეტს ვიტყვოდი: ქალის ბუნება ისე ვიცო, რომ ცოტა შეძლებით ამ ქალს დღეს კიდევეც გავეცნობი და ამ საღამოს ამ პლაჟზე მასთან რამდენიმე საუცხოო საათს გავატარებ...

— ეს ტრამპანობაა და მეტი არაფერი—მივუგე მე.

— მოდი, ნაძღვეი!

— მოვდივარ!..

— აქვენ ზე ორასი მანეთი მომეციო და მე ჩემს გეგმას სისრულეში მოვიყვან... ქალის გული თუ რკინაა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე ანდამატი ვარ...

სწორეთ ამ დროს ქალი ადგა, ერთი გაიხედ-გამოიხედა და ისევე გაბრუნდა...

სანდროს ახლა სახეზე უიმედობა დაეტყო.

ამან გამათამაშა

-- თუ ვერ მოახერხებ?... შევეკითხე მე.

— აი, ეს ჩემი ოქროს საათი იყოს თავდები და ფულსაც დაგიბრუნებ... ხომ მენდობით...

სანდროს კარგათ ვიცნობდით... ის თავმომწონე, გამბედავი და არაშიკი ყმაწვილი იყო... მართალია, დიდი ხნიდან არ გვენახა, მაგრამ ამით მას ჩვენი ნდობა არ დაკარგოდა.

მე მაშინ მანჯურებიდან ახლათ დაბრუნებული ვიყავი და ფული ბლომით მქონდა.

— აი, ორასი მანეთი! ვუთხარი მე.



სანდრომ ფული გამოგვართვა და გავვშორდა. დღის ორი საათი ნებოდა, როდესაც სანდრო ეტლში დავინახეთ. მან ეტლი გააჩერა.

— გავიგე, ვინც ყოფილა!.. ის ბაქოელი ვაჭრის ცოლია, დღეს ოდესიდან ქმარს მოელის და ხვალ უკან ბრუნდება. ცხოვრობს „ფრანცია“-ში მე-ნ ნუმერში. ვეცდები ნაძლევი არ წაავაგო.

ჩვენს მოთმინებას საზღვარი არ ქონდა. დაღამდა. ზღვის პირას აურებელი ხალხი მოაწყდა. პლაჟზე მუსიკის ხმა იშლებოდა და ხმაურობაში იფანტებოდა.

ჩვენ კიოსკთან ახლო ვისხედით და სანდროს ველოდით. სწორეთ ცხრა საათი იქნებოდა, რომ სანდრო გამოჩნდა. დახედეთ საოცრებას! მას ის ქალი მოყავდა. სწორეთ ის ქალი, რომელიც დილაზე მოჩვენებასავით მოგვევლინა!.. სანდრომ ჩვენ ამაყათ დაგვათვალღერა, მოითხოვა მაგიდა და ორივე დაჯდა. ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა. ერთმანეთს ვეკითხებოდით, თუ როგორ შეძლო სანდრომ ეს, როგორ მოახერხა!.. მაგრამ პასუხი არ იყო. ამასთან ქალის გარეგნობაში, სიფაქიზეში თვით ეშმაკიც ვერაფერს ცუდს ვერ დაინახავდა.. ცოტა ხნის შემდეგ სანდრო წამოდგა, ანგარიში გაასწორა და ქალს მკლავში ხელი მოკიდა... ორივე ხეივანში მიიმალა.

მოუთმენლობა სულს გვიხუთავდა. იმ დამეს სანდრო არ გვინახავს მეორე დღეს იგი შეწუხებული შემოგვეგება.

— ხომ გაჯობეთ!

— რა სათქმელია... მივუგე მე. სანდრო მოგვიყვია, თუ რა სიძნელე შეხვდა, რამდენი დახარჯა, და დაუმატა: თქვენ პირდაპირ დამლუპეთ... იმ ქალის ქმარი დღეს ჩამოვიდა და სალამოს ბაქოში მიდიან.. მე დამწვარი ვარ მისი ეშხით და თფილისამდი მაინც უნდა გაყვე. ამ სიტყვებით სანდრო მოგვშორდა.

ამას შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა. იმ ქალის სახე ხსოვნაში აღიბეჭდა და მოსვენებას არ მაძლევდა. ერთ დღეს ქუჩაში მივდიოდი. სასტუმრო „ფრანცია“ უნდა გამეარა, და გავიფიქრე:

— მოდი ამ ქალის ვინაობას მაინც შევიტყობ-მეთქი.

სასტუმროს კარებზე დარაჯი დამხვდა.

— უკაცრავათ, აქ ამ დღეებში მე-ნ №-ში ბაქოელი ვაჭრის ცოლი რომ ცხოვრობდა, რა გვარი იყო?

— მე-ნ №-ში იყო სანდრო მამიაშვილი—მომიგო ცივათ დარაჯმა.

— როგორ?! შეეძახე მე... მაგრამ, აქ რომ ქალი ცხოვრობდა—მაღალი, ახოვანი... პირთეთრა...

სწორეთ ის მისი ცოლი იყო... დიდი ხანი არ არის, რაც ითხოვა... ისინი თფილისს გაემგზავრენ... დარაჯი სადღაც მიეჩქარებოდა.

ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელი შეიქნა...

მაგრამ ნაძლევი მაინც წაგებული იყო...

გ. ჯორჯიკია.

## პატარა პოემები პროზათ.

შარლ ბოდლერი.

უცხოელი.

— მითხარი, ვინ უფრო გიყვარს, უცნაურო ადამიანო? მამა, დედა, და თუ ძმა?

— არ მყავს არც მამა, არც დედა, არც და, არც ძმა.

— შენი მეგობრები?

— თქვენ აქ ხმარობთ სიტყვას, რომლის მნიშვნელობა ჩემთვის დღემდე გაუგებარი რჩება.

— შენი სამშობლო?

— არ ვიცი, რომელ სიფართოზე მდებარეობს.

— შეენიერება?

— ხალისით შევიყვარებდი ღვთიურს და უკვდავს.

— ოქრო?

— მე ის მძულს, როგორც თქვენ გძულთ ღმერთი.

— ეჰ! მაშ რაღა გიყვარს, არაჩვეულებრივო უცხოელო?

— მიყვარს ღრუბლები... მიმავალი ღრუბლები... შორეული... შეენიერი ღრუბლები!

### მოხუცი ქალის სასოწარკვეთილება.

პატარა მოკუხულმა დედაბერმა მხიარულათ იგრძნო თავი, როდესაც დაინახა ეს ლამაზი ბავში, რომლისთვის ყოველივე ქმნიდა დღესასწაულს, რომლისთვის მთელ ქვეყანას სურდა მოწონება, ლამაზი არსება, სუსტი როგორც პატარა დედაბერი და მასავით უკბილო და უთმო.

და მიუახლოვდა, რომ შეკისკისებოდა და საამოთ დაპრანჭოდა.

მავრამ შეშინებული ბავში ეწინააღმდეგებოდა დაბერებული მანდილოსნის მოფერებას და აავსო სახლი ყვირილით.

მაშინ კეთილი მოხუცი დაუბრუნდა თავის სამუდამო მარტოობას, და ის ტიროდა კუთხეში, მოთქვამდა: «ახ! ჩვენთვის, უბედურ მოხუც ქალე-ბისთვის, წავიდა ხანი მოწონების, ბაღლებისთვისაც; და ჩვენ ვაშინებთ პატარა ბავშებს, როდესაც გვინდა მათი სიყვარული!».

### საადსარებო ლოცვა მხატვარის.

შემოდგომის დღეების ბოლოები რა შემპარავია! ახ! შემპარავია ტკივილამდი! რადგან ის არის ცნობილ საამო გრძნობებიდან, რომელთა ტალღა

არ უარყოფს ინტენსივობას. არ არსებობს ბოლო უფრო მწვავე, ვიდრე ბოლო უსაზღვროების.

დიდი ნეტარებაა თავისი ხედვის ჩაძირვის ცის და ზღვის გაუზომელობაში! მარტობა, სიჩუმე, შეუდარებელი ქალწულობა ლავეარდის! პატარა აფრა ჰორიზონტზე მკრთომარე, რომელიც თავისი სიპატარავით და მარტობით ბაძავს ჩემ გამოუსწორებელ არსებობას, ტალღათა მონოტონური მელოდია, ყველა ეს ნივთები ფიქრობენ ჩემით, ან მე ვფიქრობ მათით (რადგან ოცნების დიადობაში მე მალე იკრგება!). ისინი ფიქრობენ, ვამბობ მე, მაგრამ მუსიკალურათ და სურათოვანად, დაუწვრილებლათ, უსილოგიზმით, უდედუქციით.

მაგრამ ეს ფიქრები, როდესაც გამოდიან ჩემგან, სადაც იძირებიან ნივთები, ხდებიან მეტათ ძლიერები. ვნებაში ძლიერება ქმნის წუხილს და ნამდვილ ტანჯას. ჩემი ნერვები მეტათ დაჭიმულები არაფერს იძლევიან მშფოთარ და ავთიმყოფ თრთოლვის გარდა.

და ეხლა სიღრმე ცისა მაკრთობს, მისი სიწმინდე მახელებს. ზღვის უგრძობელობა, სანახაობის უცვლელობა მაშფოთებს... ახ! მარად უნდა იტანჯო თუ მარად უნდა გაუზობდე შვენიერებას? ბუნებავე, შეუბრალებლო მაცდურო, მეტოქევე მუდამ გამარჯვებულო, დამტოვე მე! ნუ ხიბლავ ჩემ სურვილებს და ჩემ სიამაყეს! შვენიერების ეტაჟიდი არი დუელი, სადაც მხატვარი ყვარის შიშით დამარცხების წინ.

### ხუ მარა.

ეს იყო აფეთქება ახალი წლის: ქაოსი ტალახის და თოვლის, გათე-ლილი ათასი ეტლით, მბზინავი სათამაშოებისაგან და ტკბილეულობისაგან, ამოდრავებული გაუადრობით და უიმედობით, დიდი ქალაქის ნამდვილი შფოთვა ურევდა ტვინს მარტოხელს უფრო მეტათ.

ამ ვაებაში და ხმაურში ჩქარი თოხარიკით გარბოდა ვირი, რომელსაც მიდენიდა მათრახით შეიარაღებული მახინჯი.

როდესაც ვირი ტროტუარის კუთხეში უხვევდა, შვენიერი კაცი ხელთათმანებით, გალაქული, სასტიკათ შესკვნილ ყელსაბამით და სულ ახალ ტანისამოსში მომწყვდეული, დიდი ამბით მოიხარა მშვიდი ცხოველის წინ და ქუდმოხდილმა უთხრა: «გისურვებთ სიკეთეს და ბედნიერებას!» შემდეგ არ ვიცი რომელ აზნანგებისკენ მიბრუნდა კმაყოფილი სახით, თითქო ითხოვდა მისი კმაყოფილებისათვის მათი ქების მიმატებას.

ვირმა ვერ შეამჩნია ეს შვენიერი ხუმარა და გულმოდგინეთ განაგრძო სირბილი საითაც მისი მოვალეობა ეძახოდა.

მე მოულოდნელათ უზომო სიბრაზემ შემეპყრო ამ შვენიერ გიჟის წინააღმდეგ, რომელიც, მე მგონია, აერთებს საფრანგეთის მთელ სულს.

სანდრო ცირეკიძე.

## შ ა ჩ ა ლ ი დ ა პ რ ო შ ო ლ ა .

### მოგონება.

ასე, ათი წლის ვიქნებოდი, როდესაც ერთ ზამთარში გახურებული ბუხრის წინ ვისხედით. წინეთ, ზამთრობით, ყოველთვის დიდი თოვლი მოდიოდა; ხანდახან თხილამურსაც კი ხმარობდენ, რადგან, დიდი თოვლის მიზეზით, თუ არა თხილამურით, ისე ძნელი იყო სიარული უკვალავ თოვლში. ასეთი დიდი თოვლის მიზეზით, სოფლათ დიდი უსაქმურობა იყო, განსაკუთრებით გურიაში. კარგი ამინდის დროსაც არ იცოდენ, როგორც იმერეთის ზოგიერთ მხარეში, არც პურის თესვა, არც დაბალი ვენახის კეთება, რომ პურის დახნვა-დათესვაზე, ვენახის და ხარდნის მოჭრა-დასობაზე კარგი ამინდის დროს მაინც შეექციათ თავი; მაშინ არც სხვადასხვა ქალაქში წასვლა იცოდენ სამუშაოთ, რადგან არც რკინის გზები იყო და არც დღევანდლის ადენი ფაბრიკა ზ სხვადასხვა სამუშავერი. ამის მიზეზით მეზობლებმა ერთმანეთში ხშირათ იცოდენ მისვლა-მოსვლა: ხან სმა-ჭამას და ქეიფს ეწეოდნ და ხანაც სხვადასხვა ამბით ერთობოდენ.

ბაბუა-ჩემი ამ დროს კარგი მოხუცებული იყო ბუხრის წინ მჯდომი, შეჭარხლებული სახის მოხუცი, გურიის ცხოვრებიდან ფირალების (ყაჩაღების) ამბავს გვიამბობდა ბავშვებს. ჩვენ კი სულგანაბული ვუსმენდით. ამ დროს შემოვიდა ჩვენთან ერთი მოხუცი მეზობელი, რომელიც წინეთ კარგი ჩაღვადარი ყოფილა და ახლა კი, როგორც მოხუცებული, მუდამ შინ იყო. ეს კაცი ბევრი სხვადასხვა გარემოების მომსწრე იყო და მუდამ სხვადასხვა ამბის მოყოლა იცოდა. ამბები არ გამოეღეოდა და ისე შნოიანათ მოყვებოდა, რომ მისი მოსმენა ყველასთვის სასიამოვნო იყო. ამ მუდამ დაუსრულებელი მოამბობისათვის მას მეჭ სახელათ **პროშოლას** ეძახდენ, თუმცა ნამდვილი სახელი ეგნატე ერქვა.

მისი მოსვლა ბაბუა-ჩემს იამა და უთხრა: აბა, ჩემო ეგნატე, ახლა ჩვენ ყაჩაღებზე ვსაუბრობდით, და შენც ხომ გეცოდინება უთუოთ წინანდელი ყაჩაღების ამბები—და მოგვიყვიღ. პროშოლამაც არ დაახანა და დაიწყო:

მე, ბატონო, ერთი ძველი ამბავი მახსოვს და გვიამბობთო.

ყველა სმენათ გარდავიქეცით.

ერთხელ თბილის-ქალაქს არაყი და ღვინოები წავიღეთ ცხენებით,—დაიწყო პროშოლამ. ათი ცხენის საპალნე მიგვქონდა. აქედან თორმეტი დღე

ვუნდებოდით თბილის-ქალაქს ჩასვლას. დილომის მიდორს რო მივაწოდეთ ცხენები და ჩვენც დალილობას ვგრძნობდით და ნელ-ნელა მივდიოდით. გავიხედე ლე ამ თვალუწვდენი მიდვრის თავში რალაც შაშვისოდენა მოჩნდა; ფიქრიც ვერ მოვასწარი, რა უნდა იყოს-მეთქი, ისე ელვის უმაღ ჩვენთან გაჩნდა.

შევხედე თუ არა, მკაცრათ დავვიძახა: სადაურები ხართო? ჩვენ შიშის ქარი აგვიტყდა და მალე ველარ ვუპასუხეთ. ისევ იმავე ხმით გავვიმეორა: სადაურები ხართო? მე მოვასხენე: ჩვენ, ბატონო, გურულები ვართ-მეთქი. გურული რას ქვიაო?—ბატონო, ჩვენი ქვეყანა შავი ზღვის პირზეა და გურიას ეძახიან-მეთქი, ვუთხარი. ჰოო, იმერლები ყოფილხართო... ჩამოასხიო, მითხრა

— რა გნებავს, ბატონო, ღვინო თუ არაყი-მეთქი.

— არა, ღვინო ჩამოასხიო

უცბათ მოვხსენი ტიკს ყური და ჩამოვასხი მაყვალევით შავი საჯაო-ხური ღვინო, ავაგე სამგზავრო ყანწი და მივაწოდე. ვადაკრა და მითხრა:

— ყოჩაღ, იმერელო, კარგი ღვინო გქონიაო!

— ჩამოასხი კიდევო! კიდევ ჩამოვასხი. მითხრა: ეს შენ დალიეო. მეც ვადავკარი.—კიდევ ჩამოასხიო! კიდევ ჩამოვასხი. დაუძახა ბიჭებს და თითო ყველას დააღვინა.

მითხრა:—გეტყობა, შენ ამათი „ხაზეინი“ ხარო: რომ მე არა, ეგებ ამათ არც კი ასმევდიო!... ბიჭებმა ერთხმათ უთხრეს:—როგორ არა, ბატონო, ჩვენთვის ცალკე მოგვაქვს სასმელი ღვინო ტიკტორებით და ცხენზე ტიკების შუა გვიდევს—საპალნეზეო. მერე ის კაცი მომიბრუნდა და მითხრა:—გეტყობა, არა ხარ ცუდი ხაზეინიო. ახლა ეს მითხარ, რამდენათ ღირს, რაც ჩვენ ახლა დავლიეთო, და ჯიბიდან ქესა ამოიღო, ფულის მოცემა დააპირა. ვიფიქრე: ვაი თუ გვცდის და, ფული თუ გამოვართი, ეგებ დედა აგვიტიროს-მეთქი; მე ვუთხარი: ბატონო, ჩვენ ქართველები ვართ, მგზავრს ვასმევთ ღვინოს, და მივეყიდით მხოლოდ ვაჭარს და კიდევაც დავუფასებთ-მეთქი, და თქვენ რომ ღვინოში ფული გამოგართვათ, ეს ჩვენთვის არა თუ სირცხვილი, სიკვდილი იქნება-მეთქი.

— წაიღე ფული, თორემ სულ ხანჯლით დავიხვე მაგ ტიკებსო! მე, ცოტა წყენით ვუთხარი: ამ სირცხვილს, რომ მგზავრს ორ ქიქა ღვინოში ფული გადავახდევინო და ფულისთვის ხელი გავუშვირო, მირჩევნია ის ხელი გამიხმეს და ეს ტიკებიც დაიხეს-მეთქი; და ბიჭებს ვუთხარი: დახსენით ტიკები და დაყარეთ მიწაზე-მეთქი! ბიჭებმა მართლა დააპირეს ტიკების დახსნა. მოუფრუნდი ამ უცხოს და ვუთხარი: ბატონო, შერცხვეს ჩემი ვაჟაკობა, თუ მაგისტვის გულში წყენა გავატარო, თუ რომ თქვენ მაგით კი ისიამოვნებთ-მეთქი. უღვაშებში ჩაიციხა და მითხრა: ჩამოასხი ერთიც კიდევო! ჩამოვასხი ერთი ყანწი და მივაწოდე. ცხენზე ჩამოხტა,

ერთს ჩვენს ბიჭს დაუძახა, ცხენი მისცა და უთხრა, მაგრათ დაიჭირო და ატარეო. ყანწი ჩამომართვა და მითხრა: ეს შენი გამარჯვებისა იყავს, დალია, ცარიელი ყანწი გადმომცა და იქით-აქით სეირნობა დაიწყო მოკლე მანძილით.

კაცის თვალი იმაზე უკეთეს მოყვანილ ვაჟაკს ვერ ნახავს, ის რომ იყო. ტანათ მაღალი, ბეჭებში ფართო, წელში წვრილი, შავი უღვაშები საკმაოთ მოგრძო, მოშავგვრემანო სახე, შავი გორბი თვალები... ყველა ეს ღირსეული ვაჟაკის შეხედულების თვისება ერთად მის ვაჟაკობას სამაგალითო ელფერს აძლევდა. შავი ჩოხა ეცვა; ფართოტოტებიანი შავი შარვალი, საცვეთებში კობტათ ჩატანებული, მეტისმეტათ უხდებოდა. გრძელი ხანჯალი და ტამბაჩა წელზე ქონდა, ლეკური და თოფი კი მხარზე ქონდა გადმოკიდებული.

როცა იგი ბოლთასა სცემდა, მოვიდა ჩემთან ჩემი ამხანაგი, ბეჟანა, და ყურში ჩამიჩურჩულა: შენ წელში ეცი და მე ფეხებში ვეცემიო, მერე ეს ბიჭებიც მოგვეხმარებიან და ეს კაცი დაევიტოროთო!! ჩვენი ბეჟანა ცოტათი ქე „მიიმასაქნიდა“ და ამგვარი არ გაემტყუნებოდა; მე თვალები გადავუბრიალე და — წადი შენს ადგილზე-მეთქი, ვუთხარი. ჩვენმა უცხო სტუმარმა ცოტათი ჩაიციხა, მარა მე ვერ მივხვდი, თუ რაზე გაიღიმა; შემეშინა კი, ვი თუ მიხვდა ბეჟანას სისულელეს-მეთქი. ამ დროს — ცხენიო დაიძახა, და ბიჭმა ცხენი მოართვა. სამაგალითო ცხენი იყო. შავი — მაყვალღვით, ძალიან სრული, სუქანი და გავარდნილი მატარებელი.

მომიბრუნდა და მითხრა: თქვენ, ამ მიდვრის დასასრულს რომ დუქანია, იქ მიდით ამელამ. იმის იქით ნულა წახვალთ, თორემ ბინს ვეღარ იშოვითო; იქ მდებარე უთხარით, რომ ასეთი და ასეთი კაცი ვნახეთქო, შემოგიტვალა, რომ ამ კაცებს ამელამ ყველაფრით პატივი ეცი და არაფერიც არ სთხოვოთ ლამის გასათევეთქო. ამელამ იქ მოისვენეთო, გვითხრა, შეაბრუნა ცხენი, შეჯდა და ერთი მათრახი ისეთი სტკველიცა ცხენს, რომ მისი ტლაშანი შორს გაისმა. ცხენი შეათამაშა და მერე გვითხრა: აბა, დაეწყვეთ ისე, როგორც მიდიოდითო, ჩვენც რიგში ჩავდექით და გავსწით. ბეჟანა სულ წინ მიდიოდა. გააქანა ჩვენმა სტუმარმა ცხენი, იძრო ლეკური, მოუქნია წინ მიმავალ ბეჟანას, შემოკრა და ერთ საყენზე გადაადგო თავი... შიშის ცეცხლმა დამიარა ძარღვებში. გავიხედე — და შეგვეწია ღმერთი, რომ ლეკური ბოხობზე შემოეკრა, ბოხობი გადავარდნილიყო და საწყალ ბეჟანას შიშველი თავი ისევ კისერზე ება...

— არ შეშინდეთ, იმერლებო, ვიხუმრეო, — სთქვა, გააქანა ცხენი, წავიდა და ელვის უმალ მიიმალა, ძლივს შაშვისოდენს ვხედავდით...

როგორც ვფიქრობ, ბეჟანას სიცუდეუტეს მიხვდა და უკანასკნელი მისი ხუმრობაც იმის შედეგი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ამ ღამეს მისგან ნაჩვენებ მეღუქნესთან მივედით; მართლაც ისე ვუამბეთ ყველაფერი, როგორც იმ კაცმა დაგვაბარა. მეღუქნემ იმ დღემდე დიდი პატივი გვცა, მაგრამ გულდაწყვეტილი დაერჩით, რომ იმ კაცის ვინაობა არ გვითხრა.

თბილისი მოვიარეთ. აქითობისას კიდევ ამ ღუქანში გავათიეთ ღამე. მეორე დღეს, როცა წამოსვლა დავაპირეთ, მეღუქნემ გვითხრა, რომ ის კაცი, **არსენა ოძალაშვილი** თუ გაგიგონიათ, ის არისო...

ჩვენ თან გაგვიხარდა და თან შეგვეშინა. მაგრამ ბოლოს დაგრწმუნდით, რომ ის ჩვენთვის უვნებელი კაცი იყო.

მე შევეკითხე მეღუქნეს:—მაგაზე გამოთქმულ ლექსს ჩვენში ასე ამბობენ: „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როდი წაახდენსო“—და მართლა მდიდარს ართმევს და ღარიბს აძლევს-მეთქი? ეჰეეო! მითხრა,—ყაჩაღი რის ყაჩაღია?... მდიდარს იმისთვის ართმევს, რომ ქვეყანას დაურიგოს?! არა, ჩემო იმერელო! მდიდარს იმიტომ ართმევს, რომ თვითონ უნდა მდიდრულათ იცხოვროს, და თუ ვისმე მაგაზე დაუწერია: „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევსო“, ეს, ჩემო იმერელო, სიტყვის ბარაქალაა... ყაჩაღი თუ მდიდარს რასმე წაართმევს, იმას კი მოიხმარს, მე და შენ არაფერს მოგვცემს,—ეს ყოველთვის ასე ყოფილა და დღესაც ასე არისო.

ყაჩაღის გაცნობისთვის მე მადლობა ვუთხარი მეღუქნეს და შინისკენ გამოვსწიეთო,—ასე დაათავა პროშოლამ ამბავი.

ბავშვები ისე გაგვიტაცა ამ ამბავმა, რომ სულ თვალეზში ჩავციცქირებდით პროშოლას, და ასე მოკლეთ და სხარტათ გათავებულმა ამბავმა ძალიან გული დაგვწყვიტა. ვეკითხებოდით: მერე, მერეო? მერე, მერეო?... მარა პროშოლამ გვითხრა: ახლა ეს გეყოფათ და სხვა კიდევ მერეო...

**რ. ხაჯავახიელი.**

## სალიტერატურო მოგონებანი.

### ზაქარია ჭიჭინაძე

(მის მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს გამო).

ზაქარია ჭიჭინაძე.... ორი სიტყვაა, მაგრამ მრავალისაგან მრავალი ცოცხალი ამბის მთქმელი, მეტყველი და მოამბე.

ღრმა სიყვარულის, აუტანელი შრომის, გულწრფელი ფიქრების, მწარე ნაღვლით სავსე სულიერი განცდის და ნაყოფიერი მოღვაწეობის საბანო, მფარველი და შემნახველი. ზაქარია ჩვენი ქვეყნის ნახევარი საუკუნის გონებითი ცხოვრების სიმწიფე-სიდიადის საჩვენებელი, ბევრი ჭირ-ვარამის მნახველი, ამ განცდაში მხურვალე მონაწილე და ცოცხალი მემკვიდრე.

სამშობლოს სიყვარულით მუდამ გაუმძღარი, კეთილშობილი გრძობებით სავსე, ყოველთვის სანდო და საიმედო ამხანაგი, ერთგული მეგობარი. თვითონ ქონებრივად მუდამ ლატაკი, მაგრამ მუდამ სხვისი შემწე, დახმარებელი და გაჭირვების დროს გვერდში მდგომი—ხელის გამომწვდენელი.

ზაქარიას ჩვენში ყველა იცნობს. იგი ყველასათვის საყვარელი და დიდათ საპატიო პიროვნებაა. ზაქარია და ქართული მწიგნობრობა, მისი ხალხში გავრცელება—თითქმის ერთად დაიბადენ. პატარაობიდანვე ერთმანეთი შეუყვარდათ, დამეგობრდნენ და სიკვდილამდე გაუყრელნი, ერთმანეთის მუდამ მოტრფიალენი დარჩნენ. აიღეთ რომელიმე წიგნი, გამოცემული მესამოცე წლებიდან დაწყებული დღემდე, და უმეტესათ მის ვინაობას ან მთელად და ან მარტო ორი ასო ზ. ჭ. პირველ გვერდზედვე გეტყვისთ.

ზაქარია ერთსა და იმავე დროს ყველაფერია: წიგნის ავტორი, მისი კორექტორი, ამკინძველი, გამომცემელი და ხალხში გამავრცელებელიც. ზაქარიას ყველგან შეხედებით: ქალაქებში, დაბებში, დღესასწაულებზე—ეკლესიის გალავანში, ქუჩაში და რკინის გზის სადგურებში, ყველგან წიგნებით ხელში და წიგნებზე მოსაუბრეს—მოამბეს, წაქარს და შქადაგებელს. ზაქარია ჭიჭინაძე საქართველოში მწიგნობრობის საქმის თანამედროვე აკანია, მისი მუდამ მოტრფიალე, ღრმა მოყვარული და გულწრფელი ძიძა, მუდამ მასზე მზრუნველი, გაჭირვების დროს ნუგეშის მიმცემი და მხსნელ-მფარველი.

ზაქარიას ქართული წიგნი ღვიძლ შვილათ, თავის პირმშოთ მიაჩნია; მწიგნობრობა კი ღვთაებრივ სამსახურად და ვალად. ის გამსჭვალულია იმ რწმენით, რომ სიკვდილის დღემდე მას ეს საქმე ეყვარება და არ უღალა-

ტებს. მას ღრმად სწამს თვისი მოღვაწეობის კეთილნაყოფიერობა, მისი სარგებლობა და მიზანი.

ეს რწმენა მას ახარებს, ახალისებს, ენერგიას უორკეცებს და შრომის უნარს უძლიერებს. ამ მიზნით გამსჭვალული, იგი დღესაც გასაოცარი სიყვარულით, სიხარულით და ენერგიით ემსახურება ამ საქმეს.

ზაქარიას ცხოვრებაში არ იტაცებს არც სიმდიდრე, არც დიდკაცობა, არც ჩაცმა-დახურვა და არც ქაიმა-სმა. ის ყველგან და ყველაფერში წიგნებს ხედავს, წიგნების მასალას ეძებს, წიგნების გავრცელებაზე ფიქრობს და აზროვნობს. ბუნება თავისი სიკაცოვით და სილამაზით ყველას ხიბლავს, ყველას ახარებს, სიამოვნების გრძნობებს უღვიძებს. ზაქარიასათვის კი ეს სიკაცოვით სრულიად შეუშინებლად რჩება. მას ისე არ იტაცებს მაისის ამწვანებული მინდორ-ველი და ყაყაოთ გადაწითლებული ყანები, როგორც სადმე—სავაჭრო მოედანზე გამოფენილი ძველ-ძველი წიგნები; ხელნაწერები, გასახვევი, სხვადასხვა დაწესებულებიდან გამოტანილი ქაღალდები და მიწერ-მოწერანი, რომლებშიაც ზაქარია მთელი დღეებით ზის და დიდის გულმოდგინებით არჩევს გამოსადეგ მასალას და იძენს, რათა შემდეგში შეიმუშაოს, გამოსცეს და გავრცელოს ხალხში.

ვის არ წაუკითხავს ზაქარიას მიერ შეკრებილი და გამოცემული ამბები ჩვენი თანამოძმე ოსმალო საქართველოს ცხოვრებიდან—მის მიერ ფეხით მოვლილის და შესწავლილი ქვეყნისა? ვის არ უნახავს ზაქარია ოსმალო საქართველოდან დაბრუნებული ან იქითკენ მიმავალი? თბილისიდან წიგნებით დატვირთული მიდიოდა, იქ ამ წიგნებს ავრცელებდა, თითო—ორ-ორ თვეს იქვე რჩებოდა, ფეხით-ფეხ მთელს ოსმალო საქართველოს დაივილიდა, სად წიგნებს ყიდიდა, სად უფასოდ არიგებდა და სად მათი გავრცელების შესახებ ჯადაგებდა—მსჯელობდა. იქიდან კი აუარებელი ხელნაწერით დაბარგული ისევ თბილისს ბრუნდებოდა, ამ მასალებს გადაარჩევდა და სცემდა წიგნებად. ზაქარიამ ქართველების გაკათოლიკების და გასომხების ისტორიის დიდძალი მასალა შეაგროვა და გამოაქვეყნა. ბევრ ისტორიულ ამბავს ახადა ფარღ და გამოაშკარავა. ბევრი ისტორიული მასალა შესძინა სამშობლოს ისტორიულ საღაროს. ზაქარია საქართველოს ცოცხალი არქივა. მას თითქმის ყველაფერი ახსოვს. ზოგს თვითონ მოსწრებია, ზოგიც გაუგონია და ზოგიც შეუკრებია. ზაქარია ჩვენი გონებითი პროგრესის ცოცხალი მოწმეა. მის თვალის წინ დაიბადა თითქმის საქართველოს ყველა ჟურნალ-გაზეთი იგი მოწმეა, მესამოცე წლებიდან დაწყებული დღემდე, ჩვენი საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, მგოსნების, მსახიობთა და თეატრის ცხოვრებისა, მოღვაწეობისა და შრომა-მუშაობისა იცის და ახსოვს პირველი ჟურნალ-გაზეთების დაბადების და მოქმედების ისტორია. იცნობდა ძველს და ახალ მწერლებს, მათ ნაშრომს, ნაფიქრალს დიდ პატივსა სცემდა და დღესაც სცემს.

ზაქარია მე გავიცანი სამოცდამეათე წლებში. პირველად გამაცნობა იგი უნახავდ ერთმა ქართულმა წიგნმა, რომელზედაც ეწერა: „გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძის მიერ.“ ვინ იყო ზაქარია ჭიჭინაძე ან რას ნიშნავდა გამომცემელი, მე მაშინ არ ვიცოდი, მაგრამ შემდეგში ეს გვარი, რამდენ ქართულ წიგნს წავეკითხავდი, ხშირად პირველ გვერდზე უნდა წამეკითხა და, ამგვარად დაინტერესებულს, ძლიერ მსურდა ზაქარიას გაცნობა და პირადათ ნახვა. ეს ნატვრა და სურვილი მხოლოდ სამოცდამეათე წლებში გამიმართლდა და ამისრულდა, როდესაც ქ. თბილისს ერთ ჩემ ამხანაგთან ერთად ჩავედი.

— ზაქარია ჭიჭინაძეს იცნობ? მკითხა გზაში ჩემმა ამხანაგმა.

— პირადათ არა და ისე კი გამიგონია მისი გვარი— მივუგე მე.

— მაშ, ხვალ უსათუოდ წაგიყვან და გაგაცნობ. იმას აქ წიგნის მაღაზია აქვს. ყველა ჩვენი საუკეთესო მოაზროვნე ახალგაზდა სემინარიელი იქ დადის. ზაქარიას წიგნის მაღაზია თითქმის ჩვენი კლუბია. აქ ვტყობილობთ, ვინ რასა სწერს ან ვის რა დაუწერია ახალი, რომელი თხზულება უფრო სასარგებლოა წავეკითხოთ, სად იშოვება ამგვარი თხზულება, რას უნდა ეტრფოდეს ქართველი ახალგაზდობა, და სხვანი. აქვე გაგაცნობ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგსაცო, მითხრა მან, და მეორე დღეს მე და ის ჩემი ამხანაგი ზაქარია ჭიჭინაძის მაღაზიაში ვიყავით.

ალექსანდრეს ბალის თავზე, სადაც ექვთიმე ხელაძეს სტამბა ჰქონდა, მის გვერდით, ერთს პაწია დუქანში იყო მოთავსებული პატარა წიგნის მაღაზია, ლარიბი წიგნებით და უფრო ლარიბი— გარეგნობით, შიგნითა მოწყობილობით. შიგნით, დახლში, იდგა დაბალ-დაბალი, პირრგვალი, შავ-გვრემანი შუახნის კაცი. ხელში წიგნი ეკავა და კინძავდა.

— ეს არის ზაქარია ჭიჭინაძეო! მითხრა ამხანაგმა და ზაქარია გამაცნო.

იმ დროს იქვე იდგა სამი ახალგაზდა სემინარიელი.

მერე აქეთკენ მომავბრუნა და ესენიც გამაცნო. ესენი იყვნენ:

ნოე ჟორდანიას, აწ უკვე გარდაცვალებული სილიბისტრო ჯიბლაძე და მიხა ცხაკაია.

ამ დღიდან მუდამ ზაქარიას სტუმარი ვიყავი, მასთან დავდიოდი და თვალ-ყურს ვადევნებდი მის ნაყოფიერ მოღვაწეობას. თბილისი იმ დროს ცენტრი იყო გონებითი გაღვიძებისა, მოძრაობისა და გამოფხიზლებისა. ამ დროებში იბეჭდებოდა ქართული გაზეთი „დროება“; იბეჭდებოდა იგი ექვთიმე ხელაძის სტამბაში, რომელიც იქვე მაღაზიის ახლოს იყო და, ამ ნაირად, ე. ხელაძის სტამბა და ზ. ჭიჭინაძის მაღაზია შეიქნა მაშინდელი ახალგაზდობისათვის შესაქრებ ადგილად, სადაც ვიკრიბებოდით და სხვადასხვა საკითხზე ვმსჯელობდით, ვაზროვნობდით. აქ ხშირად ზაქარია გვეუბნებოდა, თუ რომელი თხზულება უნდა წაგვეკითხა. გვაძლევდა რჩევას



გვეწერა გაზეთებში და სამშობლოს გაღვიძების და განვითარებისათვის შეძლებისადაგვარად, ხელი შეგვეწყო. აქვე ვღებულობდით გაქირვების დროს ზაქარიასაგან ყოველგვარ დახმარებასაც. თვითონ ლარიბი ზაქარია, გაქირვების დროს მუდამ მდიდარი იყო. იგი მზად იყო ყოველთვის, განსაკუთრებით ახალგაზღობისათვის, სამოწყალო და საშველი ხელი გამოეწვდინა. თვითონ ხშირად არ ექნებოდა ხოლმე ფული, მაგრამ სადმე, ვისმე გამოართმევდა და გაქირვებულს წყლულს მოუშუშებდა, მალამოს წასცებდა. ამგვარი განცდის დროს, როცა მას მალაზიაში შევასრებდით, მაშინვე სიას გადმოგვიგდებდა და გვეტყოდა ხოლმე:

— კაცო, ეს საწყალი საღდაც ცივსა და ნოტიო სარდაფში ცხოვრობს (მოიხსენებდა სახელსა და გვარს); საქმელი მას არ აქვს და სასმელი. ტანს არ აცვია და ფეხს. ნიჭიერი ყმაწვილი კია. ცოდვაა მისი ასე უპატრონობა. მოდით, თუ რამ გაბაღიათ, შემოსწირეთ, ან ამხანაგებში შეუგროვეთ და ეგებ სიკვდილისაგან ვიხსნათო!...

ჩვენც ჩვენს წვლილს იმ წამსვე ვაძლევდით და გაქირვებულს ტანჯვებს ვუმსუბუქებდით ..

გამოვიდოდა რაიმე ახალი ჟურნალი, — უსახსრობისა გამო ყოველთვის ნორჩადვე კვდებოდა. ზაქარია აქაც გაჩნდებოდა მის მზრუნველად და მეურვედ. გამართავდა ხელის მოწერას, გაგზავნიდა სამაზრო ქალაქებში, სოფლებში, ნაცნობებში და აუცილებლად რაიმე ქონებრივ დახმარებას აღმოუჩენდა.

მახსოვს, ერთ დროს თბილისში ყოველდღიური ჟურნალის „იმედის“ გამოცემა დაიწყეს ჩვეულებრივ ჟურნალს დიდი ხანი არ გაუძლია. მისი ოფიციალური რედაქტორი გურგენიძე იყო, რომელსაც ჩვენს მწერლობაში თითქმის არ იცნობდენ. წინათ ის მსახურობდა ზედამხედველად მარტვილის სასულიერო სასწავლებელში. მისი ნაწერი თითქმის არავის არაფერი ჰქონდა წაკითხული და ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა, ვინ არის ეს გურგენიძეო. ჯერ ყოველთვის საჭიროა და იმ დროს მაინც უსათუოდ საჭირო იყო ლიტერატურული სტაჟი. ჟურნალ-გაზეთის რედაქტორი უსათუოდ ცნობილი მწერალი ან საზოგადო მოღვაწე უნდა ყოფილიყო. იმ დროს ქ. თბილისში საოხუნჯო გაზეთი „ფალანგა“ გამოდიოდა, რომელმაც გურგენიძის შესახებ გესლით სავსე დაცივით იკითხა:

— გვითხარით, გურგენიძე ფსევდონიმია, თუ ნამდვილი გვარია!

ჟურნალის სულის ჩამდგმელი, მისი უმთავრესი თანამშრომელი, ნიჭიერი და საკმარისად განვითარებული — სტ. ჭრელაშვილი იყო, რომელიც იმ დროს „მოიპისარეგებდა“ და მისი მიმართულების მიმდევარი იყო ..

ამ ჟურნალის შეწყვეტის შესახებ ცალკე მოწოდება მოგვივიდა ჩვენ. მაშინდელ ახალგაზღებს. გვთხოვდენ ნივთიერი დახმარების აღმოჩენას.



მახსოვს, მე და ჩემმა ამხანაგებმა გავმართეთ ქართული წარმოდგენა, რომელშიაც იღებდა მონაწილეობას განსვენებული ნატალია გაბუნას ქალი, შემდეგში ჩვენი ქართული თეატრის შვენება-სიამაყე და მაშინ კი სულ ახალგაზრდა, საზოგადოების უცნობი. შევკრიბეთ ფული და გავუგზავნეთ ზაქარიას რედაქციისათვის გადასაცემად. ეს და ამის მსგავსი სხვა კეთილი საქმეები ზაქარიას სულიერ მოთხოვნილებას შეადგენდა. მას წყუროდ კეთილი საქმეების გაკეთება, საჭიროების დროს ადამიანის დახმარება, ხშირად მინახავს ზაქარია მწუხარე, დაღვრემილი და ჩაფიქრებული, მაგრამ ამის მიზეზად ის არაოდეს არ გეტყოდათ არც თავის პირად გაჭირვებას, ხელმოკლეობას და არც შიმშილ-წყურვილის გამო განცდას. ის მაშინვე წიგნების გამოცემაზე მიგიითითებდა და გეტყოდა:

— რა ვქნა, წიგნი გამოვეცი. ახლა მეორესა ვბეჭდავ. პირველი ვერ გამიყიდა და მეორე კი კარზე მადგიაო.

ზაქარია რამდენიმე წიგნის ბეჭდვას შიუდგებოდა ხოლმე ერთად, როცა ჯიბეში კაპიეკი არ უტყაოდა.—დაბეჭდავდა, წავიდ-წამოვიდოდა ქალაქებში, დაბებში, საქართველოს დიდ სოფლებში, გამართავდა ხელის მოწერას, გაყიდიდა ზოგიერთს დაბეჭდილ წიგნს, შეაგროვებდა ფულს, მოვიდოდა თბილისს და ისევ განაგრძობდა ბეჭდვას და შედგენას.

ასე და ამგვარ წრიალში და ხუტიალში ატარებდა თავის ცხოვრებას, და დღესაც სწორეთ ასევე ცხოვრობს ეს იშვიათი ენერჯის, ტანბრთელობის და მწიგნობრობისადმი დაუშრეტელი სიყვარულით გაქლენილი ადამიანი. ზაქარია ემსახურებოდა ამ საქმეს სწორეთ იმ დროს და ქართველების გონებითი განვითარების იმ ხანაში, როდესაც წიგნი არაფერ ღირებულობას არ წარმოადგენდა. წიგნს არავინ ყიდულობდა. ზაქარიას მიერ გამოცემული წიგნები კი მთელი წლობით თაროებზე ეწყო, ანდა თვითონვე გაჭკონდა სოფლებ—ქალაქებში და ყიდიდა, უმეტეს ნაწილს კი უფასოდ არიგებდა. ზაქარიას ეს მაინც გულს არ უგრილებდა საქმეზე. ზაქარია წიგნს მაინც არ შორდებოდა. ერთი რომ გაუყიდელი ეწყო, მეორეს ბეჭდავდა, მესამისათვის მასალას ამზადებდა—და ასე ამგვარად მოიყვანა დღემდე ეს ფრიად კეთილშობილური და ღრმანაყოფიერი მუშაობა.

ზაქარია ჭიჭინაძე ისტორიული მასალის დაუშრეტელი სალარაოა. როცა გნებავთ, დაუკვეთეთ მას რომელიმე ისტორიული პიროვნების შესახებ მასალა. იგი მეორე დღესვე აუარებელ მასალას მოგაწოდებთ, თუმცა შეიძლება ზოგიერთი ისტორიულ სინამდვილეს და სისწორეს მოკლებული იყოს, იგი ისტორიული კრიტიკის ცხრილში გატარებული არ იქნეს და მეცნიერულად დამუშავებული; მაგრამ, როგორც ნედლი მასალა კი, მაღალი ღირებულობის იქნება.

ზაქარიამ მთელი თავისი სიყმაწვილე, სიცოცხლე და შეძლებები სულ წიგნების საქმეს შესწირა, მას უმსხვერპლა. ზაქარიას ხანგრძლივი მოღვაწეობა ამ მხრივ დიდ მასალას იძლევა მის დასაფასებლად და ღირსეულად მოსახსენებლად. მაგრამ დღეს ამის დრო არ არის. ამისთვის დადგება სულ სხვა დრო, სულ სხვა ხანა. ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენი მოხუცი. იგი მალე თავის საყვარელ ქართველ საზოგადოებას წარუდგება წინ. მის მოღვაწეობას მაღლიერი საქართველო მხურვალე ზემოთ იდღესასწაულებს. გულწრფელი დაფასების სხივები ვერცხლის-ფერად გაუშუქებს სიბერით გათეთრებულ ქოჩორს. მშობლიური მაღლი სამშობლო ქვეყნისა შარავანდედათ დაადგება მის სახეს, მის პიროვნებას.

ამა წლის 23 აპრილი მისი დღესასწაულია. მასთან ერთად დღესასწაულობს ქართული წიგნიც.

50 წლის უანგარო მოღვაწეობა დაუნის გვირგვინით შეამკობს მის მოხუცებისა გამო გათეთრებულ თავს.

მთელი საქართველო მაღლობით მოიხსენებს მის ხანგრძლივ ნაყოფიერ მოღვაწეობას.

მეც გულწრფელ სალამს ვუძღვნი იმერეთიდან ძვირფას მოღვაწეს, ღრმად ვაფასებ მის შრომას, მის მუშაობას და გრძნობიერად ვეამბოროები მის მოხუც ტუჩებს...

თეოფილე ხუხივაძე.

ქ. ქუთაისი. 1922 წ.

## ბუნების აღწერა ძარითულ მხარეობაში.

(წარმოთქმული იყო ქუთაისის თეატრში 3 ივნისს 1921 წ., ხელოვნების მუშაკთა კავშირის საღამოზე).

სულმნათ შოთას სრულებით არ მოეპოება ბუნების აღწერა. ბუნება და იმის გარეგანი მოხაზულობა და მოკაზმულობა შოთას გულისყურს არ იპყრობს, თუმცა ნას თვისი პოემის სივრცეზე ბევრჯელ ჰქონდა შემთხვევა ბუნება აღწერა და აქაც ეცადა თვისი გენიოსური კალმის სიძლიერე და მოხდენილი ნაქვითიანობა. ჩვენ არაფერი ვიცით იმ მიდამოს მოკაზმულობის შესახებ, სადაც როსტევეანის მეომრებმა „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“. ჩვენთვის კი უეჭველია, რომ ეს მიდამო განსაკუთრებული ფერად-ფერადობით იქნებოდა შემკული. არც იმ გამოქვაბულის მიდამოს მორთულობა ვიცით, რომელშიც ცხოვრობდნენ ტარიელი და ასმათი. ჩვენი ყურადღება შოთამ არ შეაჩერა იმ ბუნების ნაქვითიანობასა და სიკეკლუცეზე, რომელიც უეჭველათ ჰქონდა იმ არე-მარეს, სადაც ავთანდილი, ველათ გაჭრილი, მღეროდა და მის მღერას ფრინველები და ცხოველები ყურს უგდებდნენ. ჩვენ არც იმ შამბნარის განსაკუთრებული აღწერა გვაქვს, სადაც ტარიელმა ლომი, ვეფხეთან მებრძოლი, მოკლა. განგებ დავასახელე ეს ოთხი ადგილი პოემისა. ამ ოთხსავე ადგილას შოთას შემთხვევა და სრული შესაძლებლობა ჰქონდა ბუნება აღწერა და ამ ბუნების პლასტიური მხარე თვისი გენიოსური კალმის ნაქვითიანობით ჩვენი თვალის წინ ნათლათ გამოესახა. მაგრამ ეს მან არ ჰქნა. არ ჰქნა კი იმიტომ, რომ ამის სურვილი არც ჰქონია, არც აღძვრია. ეს საჭიროთ არც დაუნახავს. ამ გარემოების ბრალია, რომ პოემის გმირების სამოღვაწეო ადგილების ჩვენ არც მდებარეობა, არც გარეგანი მოხაზულობა და არც კეკლუცი მოკაზმულობა ვიცით. პოემაში ნახსენებია მხოლოდ ესა თუ ის განცალკევებული ფრინველი, ცხოველი ან მცენარე. მაგრამ მთელი ანსამბლი, მთელი თაიგული ბუნების ფერადი მოკაზმულობისა არა სჩანს. ვიცით მხოლოდ, რომ პოემის გმირების სამოღვაწეო ადგილები, პოემის წინასიტყვაობის გაცხადებით, იყო შემკული „უთვალავი ფერითა“. მაგრამ ეს გაცხადება არაფერს ეუბნება ჩვენს სულსა და გულს ამ ბუნების ნიშნობლივ თვისებასა და ხასიათზე. პოემის მთელ სივრცეზე მხოლოდ ერთ ადგილას (\*წასვლა ავთანდილისა გულანშაროით და ტარიელის შეყრა“) შოთას აქვს წაყდენილი ბუნების მშვენიერი სანახაობა ამ სიტყვებით: „მიწურვილ იყო

ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი;“  
 გვინდა ცა, რე ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვარითა“. მაგრამ ეს მხოლოდ  
 წაცდენაა, მეტი არაფერი.

ყოველად დაუშვებელი ამბავია, რომ ასეთ გენიოს მგოსანს განზრახ  
 ბუნება არ აღეწეროს. ერთად-ერთი მართალი და ქეშმარიტი აზრი ის იქ-  
 ნება, თუ ვიფიქრებთ, რომ შოთასა და იმის დროის მგოსნების ყურადღე-  
 ბას როდი იპყრობდა ბუნება. არ იპყრობდა კი იმიტომ, რომ იმ დროსაც  
 და იმის წინა დროებშიც ეს არ იყო მიღებული, არ იყო დაშვებული.  
 შემდეგ საუკუნეებშიც ასევე გრძელდება. მხოლოდ დ. გურამიშვილს „ქაც-  
 ვია-მწყეშ“-ში ერთ ადგილას წაცდენილი აქვს ოდნავი ცდა ბუნების აღ-  
 წერისა იქ, სადაც იგი ამბობს, რომ „ზამთარს წაუხდა აწ ჭირნახული,  
 ზურმუხტის ტახტზე დაჯდა ზაფხულიო“. ბესიკს ბუნების აღწერილობის  
 ნატამალიც არ მოეპოება. ნ. ბარათაშვილი კი ბუნებას აგვიწერს, მაგრამ  
 ძალიან მორცხვათა და გაუბედავთაც. იგი ოდნავ, გაკვრით  
 გააშუქებს ჩვენი ქვეყნის საუცხოო მორთულობასა და მოკახმულობას,  
 მაგრამ იგი ამ სურათს არ დაასრულებს, ისე გვერდს უვლის და  
 გადაგვიშლის მხოლოდ სულიერ განცდათა მიყოლით განვითარებას, იმ  
 განცდათ, რომელნიც მას ამ ბუნებამ აღუძრა. აქ, მაშასადამე, არის ბუნების  
 სუბიექტიური განცდა რე არა აღწერა ბუნებისა პლასტიური მხრით. ასეთია  
 ნ. ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმიდაზე“ და „ფიქრი მტკერას პირას“.  
 მხოლოდ ალ. ჭავჭავაძეს აქვს პირველათ აღწერილი კავკასიონის ქედის  
 ფერადი ფერადობა, საკვირველი მორთულობა და მოკახმულობა. ასეთია  
 ლექსი—**კავკასი**. ამას შემდეგ კი გრ. ორბელიანმა ხომ გასაშტერებელი  
 შევნიერებითა და ნარნარი სიკეკლუტით აგვიწერა ჩვენი ქვეყნის ბუნების  
 სხვადასხვა მომენტი: საღამოს ჟამი, როცა კავკასიის ქედსა მზის შუქი,  
 ვით ქალი მამას მოხუცსა, ეაღერსება; დილის ჟამი, როცა აღმოსავლეთსა  
 ცისკარი ალის-ფრათ შედებავს ხოლმე, და სხვ. ამას შემდეგ ბუნების აღ-  
 წერა სრულებით დამკვიდრდა ჩვენს პოეზიასა და მწერლობაში. და ჩვენ  
 ვიცით წარმტაცი სურათები, ლამაზი ნაქვებები და დამაამებელი ლამაზი  
 სანახაობანი ჩვენის მშობელი ქვეყნის ბუნებისა, როგორც ეს აღწერილი  
 აქვთ ილიასა და აკაკის. აკაკის—**ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო**—კლასი.  
 კური გამოთქმანა რე სინტეზია ჩვენი ქვეყნის ბუნების ნარნარი ლაზათიანობისა-  
 აი, ასეთია ფაკტი, ის ფაკტი, რომ წინათ ჩვენი მგოსნები და მწერ-  
 ლები საჭიროებას არ პოულობდენ, ბუნება აღეწერათ. შემდეგ კი ბუნება  
 იპყრობს გულის-ყურს ჩვენი მგოსნებისას და მწერლებისას და დღეს ბუ-  
 ნების აღწერა კარგი ნაწარმოების აუცილებელ კუთვნილებათ გარდიქცა.  
 ეს ასე იყო არა მხოლოდ ჩვენს მწერლობაში, არამედ ეს ასევე იყო სხვა  
 ერთა მწერლობაშიც. პირველათ მხოლოდ ბაირონმა შეიტანა თვის ნაწე-  
 რებში ბუნების აღწერა, თვისი პოეზია შეახავა ბუნების ნარნარი ნაქვითა-  
 ნობითა და ფერადი ფერადობით და ამით ლაზათიანობა მისცა თვის  
 პოეზიას, სიახლე და სიახლისე შეიტანა პოეზიაში.

აი, ასეთია საზოგადო ფაკტი. სად არის მიზეზი ამ მოვლენისა? ჩვე-  
 ნი ღრმა რწმენით, პოეზიაში ბუნების აღწერის ხმარება და შეტანა პირ-

დაპირი შედეგი იყო მეცნიერების, ბუნების მეტყველების თანდათანო  
ზრდისა და განვითარებისა. ავსნათ.

წინათ და ახლაც ბუნება ყოველი ადამიანისთვის როდი წარმოა-  
დგენდა შევნიერებას და ყველა როდი განიცდიდა მის სანახაობით ნეტარე-  
ბასა და შეგებას წინათ და ახლაც მდამიო ხალხს ბუნება საშიშროებათ  
მიაჩნია. ბუნებას იგი მტრათ თვლის, რაცხს. მას გონია, რომ ბუნება მო-  
ფენილია უამრავი უხილავი ქმნილებით. ეს ქმნილებანი კი ადამიანს უთვალ-  
თვალეზენ, გზირათ უდგანან, რომ რაიმე ვნება მას მიაყენონ, ზარალი და  
ზიანი მისცენ. ბუნებაზე ასეთი შეხედულებისანი იყვნენ ძველი ქვეყნების  
ფილოსოფოსნიც კი, ეპიკურის გამოკლებით. ასეთი შეხედულება კი როდი  
უწყობდა ხელს, რომ ადამიანი ბუნებისადმი ნდობით, სრული სიყვარული-  
თა და თაყვანებით გამსჭვალულიყო და ბუნების სანახაობათა ფერად-ფე-  
რადობით დამტკბარიყო და დამშვიდებულიყო.

მაგრამ ასეთი შეხედულება ადამიანში აღმოკვეთა ბუნების მეცნიერე-  
ბის აღორძინებამ, ზრდამ და განვითარებამ. ამას ნიადაგი მოუზადა არა-  
ბების მიერ ბუნების შესწავლამ. ამან კი ადამიანი ბუნებას დაუახლოვა.  
ბუნების შესწავლამ ევროპაშიაც თანდათან ფეხი მოიდგა ჩეცამეტე საუ-  
უნნიდან და მეთვრამეტე საუკუნემდი ბუნების-მეტყველება თანდათან ვი-  
თარდებოდა და ფართოვდებოდა. ადამიანის გონება თანდათან ფარდასა  
ხდიდა ბუნების საიდუმლოებას. ამ ბეჯითმა და მიყოლით შესწავლამ ბუ-  
ნებისამ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ისეთი დიდი ნაყოფი გამოიღო,  
რომ ერთგვარი გაგლენაც კი იქონია ადამიანის ფსიხიკაზე, სულიერ მადლზე.

მხოლოდ ამას აქით შეიქნა შესაძლებელი და დასაშვებელი, რომ  
პოეზიაში ბუნების აღწერას ადგილი ჰქონოდა. რადგან ბუნების შესწავლამა  
და შემეცნებამ ადამიანი ბუნებას დაახლოვა და დაუკავშირა, ადამიანმა  
ეს ბუნება შეიღვარა და მის სანახაობათა ჰერეტიტ ნეტარება განიცადა.  
ამ გარემოებამ გააღვანა იქონია პოეზიაზე და ბუნების აღწერამ პოეზიას  
მისცა ახალი საგანი და ახალი სიხალისე, ლაზათი და სინარჩარე მიანიჭა  
მას. ეს გარემოება უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია, რომ პოეზიას  
მჭიდრო კავშირი აქვს მეცნიერების ზრდასა და განვითარებასთან. ეს კავ-  
შირი ახალისებს პოეზიას, მას ახალ შინაარსს აძლევს და ამით კი მას  
ახანგრძლივებს.

ეს კავშირი რომ დაკულ-იქნეს და პოეზიის საზიანოთ არ დაი-  
რღვეს, ამიტომ მგონები და მწერლები ვალდებული არიან თვისი გულის-  
ყური მიაპყრან მეცნიერების ზრდასა და განვითარებას და ანგარიში გაუ-  
წიონ მეცნიერების მიერ ადამიანის სულიერ განცდათა გარდასხვაფერებას,  
მეცნიერების მიერ ადამიანის ფსიხიკის გარდაქმნას.

შემოდო ბევრი სხვა ფაქტი სხვადასხვა მეცნიერებიდან დამესახელე-  
ბია იმის დასამტკიცებლათ, რომ ასეთი მჭიდრო კავშირი აქვს მეცნიერე-  
ბის ზრდასა და განვითარებას პოეზიის შინაარსისა და სიხალისის შე-  
ცვლასთან. მაგრამ ამ ჟამათ ამით ვათავებ და თავს მეტი თქმით აღარ მო-  
გაწყენთ.

ი. ფანცხავა.

## ქართველ მწერალთა გედი.

განმარტოებულ მთებში, პაწაწინა მდელოზე, გაზაფხულის ქამს მშვენიერი მთის-ყვავილები აღმოცენებულა—ფერადფერადი, თვალისა და გულის გამხარებელი.

გარშემო მდელოს კლდოვანი, უდაბნოსებური უნაყოფო ადგილები არტყია—არც წყაროს ჩუხჩუხი, არც ფოთოლთ შრიალი... არავითარი სიცოცხლის ნიშანწყალი არ ისმის-არა ჩანს...

ყვავილნი ყოველ წუთს, ყოველ წამს, ყოველ დღეს—თანდათანობით ლამაზდებიან, კეკლუცობენ, გაზაფხულის დილის გრილი ნიავეთ ცოცხლობენ, ტკბებიან, ხარობენ... სიცოცხლის იმედს შეტრფიან!..

მაგრამ მალე, სულ რამდენსამე დღეში... ჯერ კიდევ თვისი ტრფილების საგნის—საყვარელი იმედის სახე არც კი უნახავთ—ყვავილნი ფერმკრთალდებიან, უდროოთ ჭკნობას იწყებენ: პირველსავე სიცხეს, პირველსავე ცხელ ქარს ვერ უძლებენ—და, ობლათ შობილნი, ობლათვე ხუჭვენ ლამაზ თვალებს...

ასეთივეა დღეს... დიდებულ შოთას შემდეგ სულ ასეთია ქართველი მწერლის გედი. იგი ობოლია, განმარტოებული, საზოგადოების თანაგრძნობასა და თანამოაზრობას მოკლებული... „ზეცა მნიშნავს—და ერი მზრდის, მიწიერი—ზეციერსა“:—აი სახელმძღვანელო აზრი მგოსან-მწერალთა და საზოგადოების ურთიერთობისა!.. ნიჭიერი ჩვენი ერი მრავლათ ბადებს ნიჭიერ შვილთ... მაგრამ ნიჭი შესაფერ აღზდას მოითხოვს: როგორც ყვავილს, მასაც სიცოცხლის წყარო ეჭივრება, გრძნობა-გონების მასაზღოებელი წყარო.

შეგნებული მკითხველი, გონიერი კრიტიკა და ზომიერი—სწორი შეფასება—აი რა ზრდის, რა ავითარებს ნიჭიერებას... ჩვენში კი ჯერ კიდევ შეგნებულ მკითხველთა წრე ერთობ ვიწროა, გონიერი კრიტიკის ნაბიჯები მეტათ მკრთალი და გაუბედავია...

მგოსან-მწერალი, ამ სახით, ჩვენში ჯერ კიდევ ობლათ არის შთენილი: იგი განმარტოებით, დამოუკიდებლათ, თავით-თვისით იწყებს მღერას, ჟღერას, მზერას... მშვენიერია, ლამაზია ნიჭიერი ყრმის ტიკტიკი, მისი მალხაზი ცქრიალი, ცეკვა-თამაში... მაგრამ, როცა ყრმა მოიზდება, მას უკვე ყრმისებური ცეკვა-თამაში აღარ აშვენებს... რუსის მგოსნის არ იყოს, „ნეტავი იმას, ვინაც ახალგაზღობაში ახალგაზღობს, ხოლო თავის დროზე მომწიფდება—დავაჟაკდება“ (Блажен, кто смолоду был молод, блажен, кто во-время созрел). ჩვენი მგოსანიც ამბობს: „სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს, და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდესო“...

ქართველი მგოსან-მწერალი დღეს, სამწუხაროთ, მხოლოდ სიყმაწვილს აშვენებს, ხოლო მისი სიბერე—იმავე სიყმაწვილის სახეა, სიბრძნესა და სიმწიფეს მოკლებული... იგი სიყმაწვილის წერტილზე გაყინულა—და, მამასა დამე, უდაბნოს ყვაელივით, უდროოთ დამქანარა...

აკაკი და ილია ჩვენ, ქართველებს, უდიდეს მგოსან-მწერლებათ მიგვაჩნია, მაგრამ ჩვენი შეფასების საზომი ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის კრიტიკას მეტათ გაზვიადებულათ მოეჩვენება. ხოლო, დასახელებული მგონები რომ ევროპის ერთერთის დიდი ქვეყნის შვილნი ყოფილიყვენ,—მათი მართლაც დიდი ბუნებრივი ნიჭი მათს ხანგრძლივ ცხოვრებაში ასაკის შესაფერათ განვითარდებოდა—და მაშინ ისინი, ევროპული კრიტიკის საზომითაც, პირველხარისხოვანი იქნებოდენ...

ქართველი მგოსან-მწერლის ნიჭიერებას, საზოგადოებრივი შეგნების განუვითარებლობასთან ერთად, ნივთიერი დამოკიდებულებაც ამცირებს და აჩლუნგებს, მის უდროოთ დადუმებასა და სიკვდილს ხელს უწყობს. ნიკოლოზ ბარათაშვილს, გენიოსური ნიჭის პატრონს, უკეთეს საზოგადოებასა და უკეთეს პირობებში, ბევრათ მეტი სახელგანი ნაწარმოების დატოვება შეეძლო, ვიდრე დღესა გვაქვს. ბაირონიც ადრე მოკვდა (36 წლისა,—ნ. ბარათაშვილი კი—29 წლისა), მაგრამ მათი შემოქმედების ნაყოფი ერთმანეთისგან ბევრათ უფრო შორსაა, ვიდრე მათი სიცოცხლის განსხვავება.

ორივე ეს ავათმყოფობა, **ზნეობრივ-გონებრივი ობლობა და ნივთიერი უსაშვალობა**, ჩვენს მწერლობას დღესაც ძიძიმეთ დასწოლია და აუძლურებს, ახჩობს... ნიჭიერი მგოსან-მწერლისათვის ზნეობრივათაც და ნივთიერთათაც დამჩავგრელია ის გარემოებაც, რომ მისი ნაწერები, თუ რომ ცალკე გამოცემას ეღირსა, რალაც 1200 ცალიც კი, 10—15 წლის განმავლობაშიც სრულათ ვერ საღდება...

საზოგადოებრივი შეგნება და კრიტიკის სიმწიფე, ეს უმთავრესი ფაქტორები მწერალთა ნიჭიერების აღზდა-განვითარებისა, შესაფერ სიმაღლეზე დადგომისათვის დიდ დროს თხოულობენ, ხოლო ნივთიერი უზრუნველყოფის საკითხი არც ისე ძნელი შემოსავლეღია, რომ იმის გადაქრასაც დიდხანს ვუცადოთ. ჩვენი ქვეყნის მოსიყვარულე და კაცობრიობის პროგრესის მოტრფიალე მესვეურნი ჩვენი ცხოვრებისა ყოველ ღონეს უნდა ხმარობდენ, რათა „მიეცეს ნიქსა გზა ფართო“,—საზოგადოთ ყოველგვარი დარგის ნიქს, ხოლო განსაკუთრებით—მწერლობას, **სიტყვიერებას**, როგორც **მეტყველი** ადამიანის ცხოვრებისა და სულის საუკეთესო გამომხატველ დარგს, და ნიჭიერ მგოსან-მწერალთათვის ისეთი მდგომარეობა უნდა შექმნან, რომ თავის ღვთაებრივ ნაპერწკალს, მზგავსათ ნ. ბარათაშვილისა, ხუთმანეთიანი მოხელე-მოჯამაგირის როლში არ აჩლუნგებდენ და არ აქრობდენ.

## ბ ი ბ ლ ი ო ზ რ ა შ ი ა

ტერენტი გრანელი. „სულიდან საფლავები“. ტფილისი 1922 წ.

„ტერენტი გრანელი მოდის  
სისხლიან სამარიდან:  
იქნებ ის იყოს ქრისტე  
მეორედ მოსული“.

შავი არშით შემოვლებული ეს სტრიქონები პირველი გვერდის სამგლოვიარო ჩუქურთმია, რომლითაც იწყებს თავის გამოტირილს ახალგაზდა პოეტი... თანამედროვე პოეზია ირჩობა ლირიზმის ქვაბში და ეს ლირიზმი შეიქმნა ჯკიდურესი ინდივიდუალიზმის საქანელა, რომელზედაც ყველა ქანაობს, თვისი პიროვნების ცრუ ნირვანისთვის... თანამედროვე პოეზია უექველათ უნდა გადიხარშოს განცთათა ვულკანში და პოეტი შემომქმედი უნდა გასცთეს ჩვეულებრივ საზღვრებს, მაგრამ მან ამისთვის უნდა მხრებზე გაიდოს ნევრასტენია, სიგიჟე, ტუბერკულიოზი, ლენო და ბოჰემის ყველა სამკაული... და ეს მოხდება... მაგრამ ყველა ახალგაზდას, რომელსაც კი ათიოდე ლექსი დაუწერია, თუ გინდ ნიჭიერი, არ შეფერის დაიტვირთოს საუკუნეთა ტირილით, კენესით, თავი ქრისტეთ გამოაცხადოს, ხელები დაილურსმოს და სთქვას:

„იქნებ მე ვიყო ქრისტე მეორეთ მოსული...“!

ჩვენ ვიცით, რომ ტერენტი გრანელი არ არის არც ქრისტე მეორეთ მოსული და არც პეტრე მოციქული...

მისი წიგნი, ყოველშემთხვევაში, ჩვენ ამაზე ფიქრის ნებასაც არ გვაძლევს..

რას წარმოადგენს მისი წიგნი „სულიდან საფლავები“? მისი მოტივები ახალი არ არის ახალს ქართულ პოეზიაში, იგი გალ. ტაბიძის მოწაფეა, მაგრამ უნდა ჩთქვას, ნიჭიერი...

იქ, სადაც გრანელი ძალდაუტანებელი, სადა და უბრალოა, იგი გამარჯვებულია, და მისი ლექსიც თავისუფლათ მღერის, გრძნობას ატკბობს:

„მწუხარება ნაკეცი გაზაფხულზე დაგეძებს,  
შენს უმანკო ბაგეზე დაბინავდენ ლოცვები.  
საოცრების ლანდები შენ წინ გლოვას ანთებენ,  
როგორც ბრილიანტები საიდუმლო ოცნებით“.

(„ტირილი სინანულის ხაზებთან“ გვ. 2).

გრანელის ლექსი იქ, სადაც ძალდაუტანებლათ სქედს, ნაზია და მგლოვიარე, რადგან მისი სული საფლავებია სევდის... პოეტი ამ კრებულში არ არის სრული გამარჯვებული, ბევრი სუსტი ლექსია შიგ მოთავსებული...

პოეტი მხოლოდ რამდენიმე ლექსშია ფრთებგაშლილი ღმერთებულის (ტიორი-ლი სინანულის ხაზებთან, ცისფერი სიშორე, მონოლოგი უდაბნოს ლეზზე, სოფლის სიჩუმე, მისალმება ზამთრისადმი, სიშორე და სხ.). მისი თავისუფალი ლექსი სუსტია და მქლე...

უნდა ითქვას, რომ ტ. გრანელი შემდეგში გასცილდება გ. ტაბიძის გავლენას. დაიწმინდება. თავს დაანებებს ქრისტეზე ოცნებობას და საკუთარი გზით ერთს საუკვეთესო ადგილს დაიჭირს ჩვენს უახლეს პოეზიაში.

ს. ცირეკიძე. მთვარეულები. ქუთაისი 1921 წ. „კირჩხიბის“ გამოცემა.

ფორმის „კირჩხიბი“-ს ეს მესამე წიგნია, რომელიც ბოთრი ანგელოსებივით ევლინება წიგნის მაღაზიათა ვიტრინებს. მაგრამ სანდრო ცირეკიძის „მთვარეულები“, მართლაც, ვიტრინის მთვარეულია, რომელსაც წიგნის თაროზე მხოლოდ თავისი სითეთრით თუ შეამჩნევ, თორემ იკარგება კინკრაქასავით სხვა წიგნთა შორის...

ს. ცირეკიძე ახალგაზდა „ყანწელია“, რომელიც მხატვრული პროზით ევლინება ქართულ პოეზიას. იგი საკმაოდ ჩამოყალიბებული პიროვნებაა—თავისი მხატვრული credo-თი...

მისი გზა უკიდურესი რომანის „მოდგმის გადაგვარების“ გზაა, რომელსაც სურს სათაურებამდის მიიყვანოს ლიტერატურა, განდევნოს დიდებულნი და გრძელშინაარსიანი წიგნები და მინიატურა გაამეფოს.

„მოზაირე არა ქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“;—შოთას ეს სიტყვები მის ხელში უკუღმა თამაშობს. და აკი—იგი სრულებით ამართლებს თავის მრწამსს.

მან მინიატურით დაიწყო და, როგორც ბენვენუტო ჩელინი, გვევლინება უცხო იფველირათ. მისი „მთვარეულები“ „ქალაქის ბაღის კლექიან ხეებივით ინაზებიან, ბაზრის ქუჩაზე მცხოვრებ ლაძას ოქროს თმასავით იბნიდებიან“. ხან კი ცოდვებით მძიმეა, როგორც შუა ბაზრის ტაძრის კედლები...

„მთვარეულები“ პატარა წიგნია, სულ 32 გვერდი, 12 მინიატურით, მაგრამ ყველა ძვირფასია, როგორც მთვარის სხივები.

შეიძლება ეს წიგნი „კენტ“ იყოს ჩვენს მწერლობაში, მას ბევრი არ მოეფეროს, მაგრამ ის მაინც გამოსცემს უცხო მუსიკას.

შეიძლება ბევრმა მკითხველმა იგი კრძალვით გახსნას და მთვარეულივით შიგ სიცარიელე დაინახოს, მაგრამ ის, ვისთვისაც ძვირფასია მთვარის ნაზი სხივები, მიტოვებული ეკლესია, ცოდვიანი ტაძარი, ღვთისმშობლის სათნო სახე, ლაძას ოქროს თმა,—იგი წყურვილით დაეწაფება ამ წიგნს...

მიხ. ბოჭორიშვილი. „მეტეხი“ ტფილისი 1922 წ.

მიხ. ბოჭორიშვილი ახალგაზდა მწერალია... „მეტეხი“ მეორე მისი



ოფიციალური წიგნია, რომელსაც იგი მკითხველ საზოგადოებას აწვდის...  
 „მეტეხი“ — რომანის მზგავსი ნაწარმოებია. ფაბულა აღებულა სარე-  
 ვოლიუციო მოძრაობიდან 917 წლამდის. ეს წიგნი ლირიკული პოემაა, რო-  
 მელიც თვისი შინაარსით ლაფსუსებით არის სავსე. ავტორს მარტო გარეგა-  
 ნი ფორმისათვის მიუქცევია ყურადღება და დამარცხებულა .. მართალია,  
 ფორმა, სტილის სიახლე, წყლიანობა ერთი მთავართავანია, მაგრამ ისეთი  
 შინაარსის აკინძვაც როგორი, ბოჭორიშვილს აქვს, სრული უცოდინარობაა  
 სარეველიუციო მოძრაობისა...

ეს წიგნი ბევრს მოიგებდა, რომ ავტორს უფრო ეშრომა შინაარსზე...  
 მთავარი გმირის სახელი, რომელსაც გედეონი უნდა ერქვას, დიდ რეველი-  
 უციონერათ არის დახატული. მერე რისთვის? დირექტორის გალახვას უყურა,  
 მერე სასწავლებელი დასწვეს და იგიც შიგ გაახვიეს... სხვა მისი მოღვაწე-  
 ობა არა სჩანს... და ამისთვის ამდენი ტანჯვა, ამდენი ფრაზები! საერთოთ  
 ყველა: იადონა, სავლე, გედეონი — რათ არიან დასჯილნი, მე ვერ გავიგე...  
 ან რათ დევნიდა მათ პოლიცია... ან რათ ატარებდენ რეველიუციონერების  
 სახელებს?!. თუ ბოჭორიშვილს რეველიუციონერობა დირექტორის გალახ-  
 ვა ან სასწავლებლის დაწვა გონია, მაშინ... ებატება ყველაფერი... სა-  
 ერთოთ „მეტეხი“ ვერ იძლევა სათანადო შთაბეჭდილებას შინაარსით...  
 ლამაზია შინაგანი ლირიზმი... არის ტკბილი ადგილები... შედარებები...

Mimosa.

შალვა კარძელი. „ბაბილონი,“ ტფილისი, 1921 წ.

ქართული ახალი პოეზიის ზრდას თან სდევს უნიჭობაც. ამ მხრით  
 მეტად დამახასიათებელია ზესტაფონის გამოცემები: „სემირამიდის ბალები“,  
 „ქალდეას ბალაგანი.“ ბევრ ნიჭიერ პოეტს უკან აედევნა აუარებელი, უსა-  
 ქმოთ დარჩენილი, ახალგაზდები, რომლებსთვისაც პოეზია დროებითი გა-  
 რთობაა — და, ალბად, ეს გარემოება არის იმის მიზეზი, რომ დღეს ამ ახალ-  
 გაზდებისათვის არ არსებობს არავითარი პასუხისმგებლობა სხვისი სა-  
 ხეების და სახელების მითვისების დროს. მაგრამ ეს მდგომარეობა არ უნ-  
 და გაგრძელდეს დიდხანს. მას დროზე უნდა მოეღოს ბოლო, რომ ყოველ  
 მეტიჩარას არ ჰქონდეს უფლება პოეზიით სპეკულიაციის.

ახალ პოეზიას გასულ წელს მიემატა თბილისის ორი გამოცემა: „ბა-  
 ბილონი“ და „ლამეები“: პირველი — კარმელის, მეორე — გვეტაძის.

უნდა ითქვას გადაჭრით: შ. კარმელი არ არის პოეტი. მას არა აქვს  
 არც ერთი საკუთარი სახე, ზომა, რიტმიც კი. 53 ლექსში, რომლებითაც  
 იგი გამოდის პირველ წიგნში, ვერ ნახავთ ვერც ერთ საკუთარ თქმას ჭეშ-  
 მარიტი პოეზიით დადაღულს. სამაგიეროდ, მის წიგნში, როგორც ლექსი-  
 კონში, თავმოყრილია აუარებელი ისტორიული სახელი: ქალაქების, ღმერ-



თების, მეფეების, პოეტების. „ბაბილონი“ შეკერილია სხვა პოეტებიდან აღებული სახეებისაგან და, როცა ათვლიერებ ამ წინგს, მოულოდნელად იქმნება შთაბეჭდილება ხარბი და გაუძიძლარი კომპილიაციის. აი ფაქტები:  
 ქალდეა—ბაბილონი; შთვარის ქურდები—შთვარის ეშაფოტი;  
 ქალდეას ბალაგანი—ბაბილონის ბალაგანი; მკვდარი ბრიუგგე—  
 ქუთაისი; დუელი ორეულთან—დუელი ქვეყანასთან; ლეილა—  
 დალილა, და სხვ.

კარმელის დაჯერება იმაში, რომ მან პირველად გაშალა რითმა ქართულ ლექსებში შოთას, ბესიკის, გაფრინდაშვილის შემდეგ—გულუბრყვილო ტიტინია, მეტი რომ არა ვსთქვათ. პირიქით—ჯერ არავის უწვავლობია სიტყვა რითმისთვის ისე, როგორც ამას სჩადის ხშირად კარმელი. თორემ რა რითმია:

შურისძიებას შებრუნებულს მივმართავ სასტიკს.....  
 შენს ნორჩ ხერხემალს ჩემი ლექსით მოვლუნავ დრასტიკს  
 (სასტიკს—დრასტიკს; გვ. 13).

ან რა მუსიკაა:

ახალ იახონს სამშობლოში მიმყავს მედეა.....  
 მაგრამ გამილკარ ზღვის სუფაჭეტი—მოიმედეა (გვ. 24).

ასარგადონ—ბალტაარი—  
 სარდანაპალ. სხვები.  
 ფიქრი ალთა-ბალთას არი... და სხვ. (გვ. 27).

ავტორს უნდა ხელოვნურად დაფაროს თავისი უნიჭობა აურაცხელი ვულგარული სახელებით: კართავენ, გამილკარ, სალამბო, ლიბიელ მატო, შახაბარმი, ნარრაფას, ზაინფი. პირდაპირ გაუგებარია, რისთვის სჭირდება კარმელს ეს უშნო სახელები, რომლებითაც, კარუსელივით, დატვირთულია ეს,—ისედაც ბალასტით დამძიმებული,—წიგნი. სხვა ლექსებს შორის ერჩევა ლექსი: „სექტემბრის ავდრებში“ (გვ. 44), რომლის პირველი ორი სტრიქონი პორნოგრაფიის შედეგად უნდა ჩაითვალოს:

„ზევა შემოდგომის ღრუბლით ნათვალწუნი,—  
 ო, ვეღარ იტანს ყოველ დღიურ მენსტრუაციებს“.

მთელს წიგნში არ მოიპოვება არც ერთი ლექსი—ქვეშარიტი გრძნობით ამღერებული. შინაარსის მხრით—პოეტის მიერ საკუთარი თავის „აზიის თავდათ“ გამოცხადება და ბაბილონის უსარგებლოთ ხელმეორედ შენება ვერ მისცემს ამ წიგნს გამართლებას. პირიქით, იგი მაჩვენებელია პოეტის კომპილიატორული ბუნების და აგრეთვე იმის, რომ კარმელი ჯერჯერობით დარჩება „პოეზიის მკდარ მსლებელად“, როგორც სამართლიანად უწოდებს იგი თავის თავს ლექსში: „დუელი ქვეყანასთან.“

რაჟდენ გვეტაძე. „ღამეები“. ტფილისი, 1921 წ.  
 რ. გვეტაძე ცნობილია თავისი პორნოგრაფიით, რაც საკმაოდ ამხილა მისმა

პირველმა წიგნმა „დაბინდული ქარვები.“ მეორე წიგნში მას არ ეტყობა წიგნი ს. ვლა. ყოველი ცდა რითმის მიგნების ღ „უკულმართი სონეტი“-ს წერის, — რ. გვეტაძეში ისე, როგორც კარმელის შემოქმედებაში, გვიჩვენებს იმას, რომ მათ პოეზია გაიგეს მხოლოდ, როგორც რითმის ძიება და კეთება, რაც უდავოთ ხდის მათ პოეტურ უკულტურობას. მაგრამ რ. გვეტაძე მაინც ირჩევა ნიჭით. მიუხედავად იმისა, რომ რ. გვეტაძეს არ აქვს პოეზიაში სა-ქირო კულტურა და მისი ლექსები ხშირად იძლევიან შაქრიანი წყლის შთაბეჭდილებას, მას მაინც კარმელზე მეტად ემორჩილება გრძნობის თავისუფალი გაქანება. საინტერესოა მისი ლექსი: „ტირილი პროსპექტზე მთვარიან ღამეში“. დანარჩენი — გაგრძელებაა პირველი წიგნის.

ცოტნე დადიანი.

გ რ ი გ ო ლ ზ ო დ ე ლ ი. — „დალურსმული ხელები,“ 1922.

კრიტიკამ ამ ლექსთა პატარა თაიგულს უნდა შეხედოს, როგორც პირველ სიტყვას უახალგაზრდესი პოეტისა.

წიგნი გამსჭვალულია სათუთი ეგზოტიურობით. ლექსები საკმაოდ მუსიკალურია, აქვს ახალი თქმები, სახეები, რითმები (ზოგი ნახმარიც). განსაკუთრებით უყვარს ასონანსები, რომელთა შორისაც კარგია: სიფითრე — იუპიტერი; გადაშლის — ბალახში; ლანდურათ — სამღურავს.

ზოდელს ეხერხება ათმარცვლოვანი ლექსი. ამას ააშკარავებს წიგნში მოთავსებული ერთად-ერთი თოთხმეტმარცვლოვანი, სონეტით დაწერილი ლექსი, რომელიც დანარჩენებთან შედარებით სუსტია. ხშირია თქმების და რითმების განმეორება, ზოგჯერ ერთსა და იმავე ლექსშიაც. არს მიუღებელი რითმები (მაგ.: ნელა-მღერა; ვზაზე-ხმაზე და სხ.). ლექსში „ნაღვლიანი სილუეტი“ ერთი და იგივე განცდა პოეტში ქმნის კონტრასტულ განწყობილებებს, რაც შეუძლებელია.

კარგია „უცხო არია“, „უსათაურო“, „ბებიას“. საერთოდ პოეზიის მოყვარულ ახალგაზრდობისათვის ეს წიგნი სასიამოვნო მოვლენაა.

ბესარიონ უღენტაი.

ს ა რ ჩ ე ვ ი.

სილოვანი—ფიქრები შორეულზე . . . . .	3
ვასო გორგაძე—სალამო წმინდა ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესიაში . . . . .	6
ბესარიონ ჟღენტი—ორგია მთვრალ მეგობრებთან ექსკურსიაში . . . . .	6
ა. გაბესკირია—გასვენება ფირუზის ფოთლებში . . . . .	7
ჟან ლოლობერიძე—ვილისები . . . . .	8
ს. კვანტალიანი—სევედის რაში . . . . .	8
ნ. ლ.—ბედის ვარსკვლავი . . . . .	9
დია ჩიანელი—შუნაური სარკე . . . . .	14
ჯაჯუ ჯორჯიკია—ცხოვრების ნაჟანსები . . . . .	17
შარლ ბოდლერი—პატარა პოემები პროზათ . . . . .	21
რ. საჯავახოელი—ყაჩაღი და პროზოლა . . . . .	23
თეოფილე ხუსკივაძე—ლიტერატურული მოგონებანი . . . . .	27
იაკობ ფანცხავა--ბუნების აღწერა ქართულ მწერლობაში . . . . .	33
ს. ხ.—ქართველ მწერალთა ბედი . . . . .	36
ბიბლიოგრაფია . . . . .	38

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია.